ბიბლიოთეკა


# საბჭოელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 21 ოქტომბერი 2003 №199 (1970) | ფასი 50 თეთრი





UEFA CHAMPIONS LEAGUE




# მე თქვენ გაგიტანთ ბოლმა-გოლს!

## ვის დარჩება 10 000 ევრო?

10 000 ევრო! ხელი ხელს დაჰკრეს „ლიონის" ახალშენაძენმა ჯოვანი ელბერმა და „ბაიერნის" პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა გუშინ ლიონში. ამ სანაძლეოს პირობა კი ასეთია: დღეს ფრანგთა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა გოლი უნდა გაუტანოს ყოფილ თანაგუნდელ ოლივერ კანს. ფული ფულად და, თუ რა ბოღმა სჭამს ჯოვანი გულს, ვფიქრობთ, ამის გახსენებაც უპრიანია — „ბაიერნის" სამსახურში ჯანგაცლილი ელბერი სწორედ ბეკენბაუერის მეცადინეობით ამ სეზონის დასაწყისში თხასავით მიჰყიდეს ფრანგებს. ჰოდა, გავიტან და 10 000 ევროც ჩემიაო. მიუნხენელთა მწვრთნელ ოტმარ ჰიცფელდს ეს ამბავი რომ გაუგია, აგდებულად უთქვამს: ჩვენ უნდა მოვიგოთ, ელბერმა ვერაო.

ვინ ვის, დღეს გამოჩნდება. დღეს სამკვირიანი შესვენების მერე ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მესამე ტურის მატჩები იწყება.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი






სამოელთა ათიანმა ბორჯღალოსნებს არც ფეხი დააკარა, არც ხელი

RUGBY WORLD CUP 2003

ავსტრალია 10 ოქტომბერი – 22 ნოემბერი

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს სრულყოფილებამდე უსასრულობა რომ აკლდა, ყველაზე ოპტიმისტი „ქართველომანებიც" ხვდებოდნენ, მაგრამ მსოფლიოს თასზე სამოასთან 9:46 მარცხმა ყველას შეურყია სარაგბო ძეგლი. ძლიერ მეტოქესთან 37-ქულიანმა მარცხმა როდი შეგვაშფოთა, ბოლო-ბოლო, კვირით ადრე ინგლისთან 78-ქულიანი მარცხიც კი ღირსეულად მიიღეს და გადაიტანეს ბორჯღალოსნებმა. გამოჩნდა, რომ მთავარი მეტოქესთან სხვაობის დათვლა კი არა, სწორი რაგბის გამოთვლა და თამაშია, და რა ითამაშეს გუშინწინ ბორჯღალოსნებმა? ყველაფრის მეტოქის სიძლიერეზე გადაბრალება უსამართლობა, სიბეცე და ბორჯღალოსანთათვის დათვური სამსახურის გაწევა იქნება, რაკი მათ თავად ვერ ითამაშეს ვერც შეტევაში, ვერც დაცვაში, ვერც ხელით, ფეხით, აუტში, მოლში, ხაზზე, სიღრმეში და ვერც ვერსად. ღარიბი სამოას კარგად ორგანიზებული და მდიდარი ფანტაზიის გუნდი კლოდ სორელის გუნდისთვის მხოლოდ სარკე გამოდგა, რომელმაც ბორჯღალოსანთა ყველაფერი ცუდი ასე მკაფიოდ აირეკლა.





# ვაკეში ულვაშა დაბრუნდა

## ცაკარიასმა და ჩხაიძემ მომავალს გახედეს

**ულვაშა** პერუელი ლუის ცაკარიასი თბილისში დაბრუნდა. „ლოკომოტივის" ყოფილმა თავკაცმა ჩამოსვლისთანავე ნაცნობ გარემოს მიაშურა და კვირას ვაკურ სარბიელზე „სპარტაკი" — „დინამოს" მატჩს დაესწრო.

ფაქტია, ცაკარიასის ჩამოსვლა რკინიგზული კლუბის დაღმასვლას დაემთხვა — რევაზ არველაძის „ლოკომოტივმა" ვერაფრით გაიმყარა საექვსეულო პოზიციები და ბოლო ტურში „სიონთან" დამარცხდა უიმედოდ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ცაკარიასის თბილისში გამოჩენას ვარაუდიც მოჰყვა — ულვაშა პერუელი „ლოკომოტივში" არველაძეს შეცვლისო, თუმც ვარაუდი ვარაუდად დარჩა. ჩია პერუელს კვირასვე რკინიგზის შეფი აკაკი ჩხაიძე შეხვდა. ამ შეხვედრას „ლოკომოტივსა" და ცაკარიასს შორის კონკრეტული საქმიანობის აღდგენა არ მოჰყოლია, თუმც ითქვა, რომ პერუელი შორსგამხედავ ლოკომოტიველთა გეგმას წაადგება და კლუბის ბავშვთა გუნდებს გაუწევს კურირებას.

„ლოკომოტივის" ვიცე-პრეზიდენტის ტარიელ ლევანიძის თქმით, ცაკარიასთან სამომავლო ურთიერთობის დეტალები საშუასეზონო არდადეგებამდე გაცხადდება.

**ბაატა ქვანტალიანი**

### ინგლისი
პრემიერლიგა. IX ტური
ბლექბერნი 0:1 ჩარლტონი

### გერმანია
II ბუნდესლიგა. IX ტური
უნტერჰახინგი 1:1 ნიურნბერგი

### იტალია
სერია C1/A. VIII ტური
არეცო 1:0 რეჯანა

### საფრანგეთი
მეორე დივიზიონი
XII ტური
ამიენი 1:1 სედანი

### პორტუგალია
სუპერლიგა, VIII ტური
სპორტინგი 3:1 ბეირა მარი

### ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა. XI ტური
ბრნო 2:1 ტეპლიცე

### ნორვეგია
ტიპელიგა. XXIV ტური
ვოლერენგა 3:0 ტრომსიო

### ფინეთი
ვეიკაუსლიგა. XXV ტური
იოკერიტი 1:1 კტპ

### შვედეთი
ალსვენსკა. XXV ტური
ჰამარბი 1:1 იორებრო
ლანდსკრონა 3:1 ენკიოპინგი
იორგრიტე 1:0 ელფსბორგი
იოსტერი 3:3 ჰელსინგბორგი

### ირლანდია
პრემიერლიგა
გადადებული მატჩები
შელბურნი 3:1 უოტერფორდი
სენტ პატრიკსი 0:2 კორკ სიტი

### ხორვატია
პირველი ლიგა. XI ტური
კამენი 2:0 ოსიეკი


# ყურადღება!

ფკ ამერის საფეხბურთო სკოლამ დაიწყო
1990-1996 წლებში დაბადებული
ბავშვების მიღება

ჩვენი მისამართია: თიანეთის გზატკეცილი 25
(გლდანულის გადასახვევთან),
ოლიმპიური რეზერვების სკოლის ტერიტორიაზე
ტელეფონი: 39-00-98, 899 78-19-24, 893 25-14-66


საქართველოს პირველი ლიგა 15 ჩემპიონატი პირველი ეტაპი 10 ტური

# დაღლილი იმედი

თბილისი. 19 ოქტომბერი. 14 საათი. ბიროვნული. 150 მაყურებელი

## ამერი 1:1 სამგურალი

0:1 ქურციკიძე (61), 1:1 განუგრავა (81)

**ამერი:** ასლანიძე, ვერემჩუკი, დავითნიძე, ჩიხრაძე, ნიკოლაიშვილი, ელბაქიძე (კილასონია 78), გარუჩავა (გვაძაბია 90), მჭედლიშვილი, განუგრავა, რუსია, წინამძღვრიშვილი (ბ. გოცირიძე 61)
**მწვრთნელი:** გაიოზ დარსაძე

**სამგურალი:** ბობოხიძე, ფრანგიშვილი, ი. მაღლაკელიძე, დ. ქელიძე (მ. ჯინჭარაძე 69), ბარაბაძე, კიკვიძე, კომალიანი (გ. ჩხეტიანი 46), ჯანაშია, ზ. ჩხეტიანი, თ. შალამბერიძე (ქურციკიძე 46), ქობალია
**მწვრთნელი:** გია გიგატაძე

**გაფრთხილება:** კომალიანი (27), ჩხეტიანი (64), გოცირიძე (66)

**მსაჯები:** ლ. სილაგავა, ა. ნონიკაშვილი, ქ. ბერაძე, ლ. ფანიაშვილი

**ბაჩუნა კიდია**

**თამაშის** შემდეგ „ამერის" დაქანცული ნახევარმცველის გეგი გარუჩავას შეხედვა რაღაცნაირ, ზოგად იმედს ჩაგისახავდა ფეხბურთის მოყვარულს — ესე იგი, ჩვენშიც იხარჯებიან ბოლომდე, ესე იგი, ამ ყველაფერს შეიძლება პერსპექტივა ჰქონდეს. გვერწმუნეთ, ერთი წამით არ გვინდა შეხვედრის მონაწილე დანარჩენ ფეხბურთელებს ამაგი დავუკნინოთ, უბრალოდ ჩავთვალოთ, რომ მიმოხილვის ავტორს მატჩის შემდეგ მაინცდამაინც გარუჩავა გადაეყარა და მისმა გულწრფელმა დაღლილობამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ წერილის დაწყება მისი ხსენებით მოუნდა. თუმცა ბოლომდე დახარჯვასთან ერთად, გარუჩავას ხსენებისას, აუცილებლად დასამატებელია ისეთი „დეტალები", როგორიცაა ბურთისთვის შედეგიანი ბრძოლა, მოპოვებული თუ მიღებული ბურთის შენარჩუნება — გარუჩავასგან იგი მეტოქეს იშვიათად უვარდებოდა — დაზღვევაზე თამაში და ცალკეულ მომენტებში ინიციატივა.

მაგრამ, ვინაიდან ამ ახალგაზრდა მოთამაშის სიმართლესგაცდენილი ხოტბა არ გვინდა, სჯობს პირველ თემას აქ დავუსვათ წერტილი და ქვემოთ ორივე გუნდს დავუფასოთ გარჯა — „ამერისა" და „სამგურალის" შეხვედრა სანახაობრივი, სპორტული ბრძოლა გამოვიდა.

„სამგურალმა" თამაში დაცვაზე აქცენტით დაიწყო, თუმცა მასპინძლების შესაზღუდად მათ მაინცდამაინც საჯარიმომდე მისვლას არ ელოდებოდა და ცენტრისგადაღმავე ხვდებოდა. ამ ამოცანას წყალტუბოელები დალაგებით და ცოდნითართმევდნენ თავს, ხოლო ნახევარმცველთა „წინა ეშელონი" პირველივე შესაძლებლობისთანავე წინ დატოვებული თორნიკე შალამბერიძის დასახმარებლად გავარდნას ცდილობდა.

თუმცა პირველ ტაიმს მომენტებიანს ვერ ვუწოდებთ. კი ბატონო, ბრძოლა იგრძნობოდა, ტემპი და რიტმი იყო, მაგრამ 33-ე წუთამდე განსაკუთრებულ მომენტს ვერ ვიხსენებთ. 33-ე წუთზე კი გარუჩავას ინიციატივას „სამგურალის" კართან კუთხური მოჰყვა. სახიფათოდ ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ სტუმრებმა ბურთი საჯარიმოს მისადგომებისკენ გამოაგდეს, საიდანაც გიორგი განუგრავამ გააკეთა ის, რაც „ამერის" თამაშს ხშირად აკლია — უყოყმანო დარტყმა საშუალო ან შორი მანძილიდან. განუგრავას დარტყმული ხარიხას მოხვდა.

ხოლო მეორე ტაიმმა პირველს ყველა ასპექტით აჯობა, მით უფრო, გოლებით და მომენტებით. ამის მიზეზი, ვფიქრობთ, ის უნდა ყოფილიყო, რომ ორივე გუნდის მწვრთნელმა სცადა აქცენტი შეტევაზე გაეკეთებინა. „ამერის" პრესინგი ტერიტორიულად გადაადგილდა მოწინაალმდეგის საჯარიმოსკენ, „სამგურალმა" კი შეტევის სურვილი მოედანზე გივი ჩხეტიანის შეშვებით გამოხატა.

და აი, დადგა 61-ე წუთი, როცა სტუმრებმა ანგარიში გახსნეს: თბილისელთა მცველმა დიმიტრი ვერემჩუკმა ბურთი მეკარე დავით ასლანიძეს უდროო დროს მიუგორა, რითაც „სამგურალის" შემადგენლობაში შალამბერიძის მაგივრად შესულმა შოთა ქურციკიძემ ისარგებლა და გოლი გაიტანა.

ამ დროს „ამერში" ცვლილება მზადდებოდა: გავიდა თუ არა გოლი, თავდამსხმელი რატი წინამძღვრიშვილი თავდამსხმელმავე, ბექა გოცირიძემ შეცვალა. გოცირიძეს აქამდე ტრავმის გამო სამი მატჩი ჰქონდა გამოტოვებული და ამიტომ მისგან ციდან ვარსკვლავების მოწყვეტას არავინ ელოდა. ვარსკვლავები მართლაც ცაზე დარჩნენ, თუმცა გოცირიძემ შეხვედრას თავისი კვალი მაინც დააჩნია (ეს ფეხბურთელი სიტუაციებზე არ არის დამოკიდებული, რადგან ცდილობს ისინი თავად გამოიგონოს) — მისი ჩარევით „ამერმა" რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა.

გოლი კი მასპინძლებმა 81-ე წუთზე შეაგდეს, როდესაც შეტევა ისევ გარუჩავას ინიციატივას მოჰყვა, რისი ბოლოც ბურთის საჯარიმოს მისადგომებთან გამოგდება და იქიდან განუგრავას უყოყმანო, ამჯერად ზუსტი დარტყმა გახლდათ.

***გია გიგატაძე, „სამგურალის" მთავარი მწვრთნელი:*** „შეხვედრა მოსაგებიც იყო და წასაგებიც, საბოლოოდ კი ფრე გამოვიდა. სამწუხაროდ, რაც გვინდოდა მთლად იმის თამაში ვერ შევძელით. მეორე ტაიმში შეცვლები ისე განვახორციელეთ, რომ უფრო შეგვეტია, მაგრამ სათანადო აქტიურობა ვერ მოხერხდა, რასაც ფეხბურთელებს ვერ დავაბრალებ. გუნდი თამაშზე მოშორებული ქალაქიდან იმ დღეს არ უნდა მიდიოდეს. მოწინაღმდეგე კი მომეწონა, ახალგაზრდული და აშკარად პერსპექტიული გუნდია."

***გაიოზ დარსაძე, „ამერის" მთავარი მწვრთნელი:*** „წინა შეხვედრაში ბევრი ხარვეზი გვქონდა, დღეს კი უფრო ხარისხიანი ფეხბურთი ვითამაშეთ. „სამგურალს" ვაჟკაცური, კორექტული ბრძოლისთვის დიდ მადლობას ვუხდი. ჩვენს დამწყებ ფეხბურთელებს ასეთი თამაში განვითარებისთვის გამოადგებათ და მეც სწორედ ამით დავრჩი კმაყოფილი."

**თსუ 1:2 ოლიმპი**

**ივერია 2:1 გურია**

**ჩიხურა 4:1 მეტალურგი**

**ბორდა 0:0 მილანი**

**ცხინვალი 1:0 დინამო 2**

**ქობულეთი 2:0 ვიტ ჯორჯია მც.**

**ლოკომოტივი 2 1:0 ლუკა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქობულეთი | 9 | 7 | 0 | 2 | 14:4 | 21 |
| ოლიმპი | 8 | 6 | 2 | 0 | 18:7 | 20 |
| სამგურალი | 10 | 5 | 4 | 1 | 13:6 | 19 |
| ბორდა | 10 | 5 | 2 | 3 | 12:10 | 17 |
| ცხინვალი | 9 | 4 | 4 | 1 | 14:4 | 16 |
| ჩიხურა | 10 | 5 | 0 | 5 | 13:12 | 15 |
| თსუ | 10 | 4 | 2 | 4 | 18:11 | 14 |
| ლოკომოტივი 2 | 10 | 4 | 1 | 5 | 7:11 | 13 |
| ივერია | 10 | 3 | 4 | 3 | 8:13 | 13 |
| დინამო 2 | 10 | 3 | 3 | 4 | 15:13 | 12 |
| ამერი | 10 | 3 | 3 | 4 | 14:12 | 12 |
| მილანი | 10 | 3 | 3 | 4 | 5:7 | 12 |
| გურია | 10 | 3 | 2 | 5 | 9:12 | 11 |
| ვიტ ჯორჯია მც. | 10 | 2 | 5 | 3 | 6:8 | 11 |
| ლუკა | 10 | 3 | 1 | 6 | 7:15 | 10 |
| მეტალურგი | 10 | 0 | 0 | 10 | 4:32 | 0 |



„ამერს" ქულა გიორგი განუგრავას ამ გოლმა გადაურჩინა

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

# 12 ტური



„სიონმა" და „ლოკომოტივმა" ურთიერთობა ჩხუბშიც გაარკვიეს

ბოლნისი. 19 ოქტომბერი. 16 საათი. თემურ სტეფანია. 800 (ტევადობა 3 500)

## სიონი 3:1 ლოკომოტივი

1:0 გონჩაროვი (9), 1:1 სიჭინავა (19), 2:1 გაბისკირია (63), 3:1 გილაური (83)

**სიონი:** ვოლკოვი, ჭიჭვეიშვილი, ბაქრაძე, ხუჯაძე, გილაური, გაბიდაური, გუჩუა, კოშკაძე (ფანჩულიძე 22), გაბისკირია (კვეკვესკირი 88), ისიანი, გონჩაროვი (გ. შენგელია 88)
*სათადარიგონი:* ა. ლაბაძე; დარსანია, დაუშვილი
**მწვრთნელი:** ოთარ გაბელია

**ლოკომოტივი:** გრიშიკაშვილი, გ. ონიანი (ლ. რეხვიაშვილი 73), ლ. სალუქვაძე, ზამთარაძე, ვაშაკიძე, გოგინაშვილი, სიჭინავა, ქემოკლიძე, მ. ბურნაძე (სორდია 71), ნანა (მიქაძე 60), სირაძე
*სათადარიგონი:* ხაჩირაშვილი; ძამსაშვილი
**მწვრთნელი:** რევაზ არველაძე

**გაფრთხილება:** ბურნაძე (52), გუჩუა (82), ისიანი (82), ქემოკლიძე (90)

**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); გ. ცირდავა (გულრიფში), მ. ელიკაშვილი (თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი; **დირექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

ჯარიმა: 10-14; კუთხური: 3-2; კარისკენ დარტყმა: 4-4; კარში დარტყმა: 5-1; თამაშგარე: 2-1

# ბოლნისის ცის ქვეშ აქვსენტის ბექემური

**დავით თავართქილაძე ბოლნისიდან**

**ბოლნისი** კვირას სახელისუფლებო ბლოკის მხარდამჭერი კონცერტისთვის ემზადებოდა, მანამდე კი ფეხბურთით შეიქცია თავი. მოკლედ, ორი შოუ ბოლნისის ღია ცის ქვეშ. ოღონდ ეგაა, კონცერტზე არ დავრჩენილვარ და მხოლოდ საფეხბურთო მატჩით დაგტვირთავთ.



რევაზ არველაძე

ალექსანდრე კოშკაძის დარტყმული სოსო გრიშიკაშვილმა მოიგერია, დასწრებაზე კი ბორის გონჩაროვმა იყოჩაღა და 1:0. რკინიგზელები გათანაბრებას ეშურებოდნენ, მაგრამ რეალურ საგოლე მომენტებს ვერ გამორჩნენ. დასამახსოვრებელი იყო ბურნაძე-ზამთარაძე-სირაძის კომბინაცია, რომელიც არაზუსტი თავურით დამთავრდა. მწვავე იერიშებით ერთი-ორჯერ გამოირჩნენ ბოლნისელები, თუმც ფრთხილობდნენ, ანგარიში ხომ მათ მიჰყავდათ.

მეორე ტაიმი ოთხი წუთის დაწყებული იყო და ნანა ეშონმა თემურ ვოლკოვის კარიდან ოციოდე მეტრში ჯარიმა მოინადირა. თენგიზ სიჭინავამ ვოლკოვს იმ კუთხეში გაუტანა, სადაც მეკარე იდგა.

ზოგადად, თანაბარი თამაში მიდიოდა, მაგრამ „ლოკომოტივს" კვლავაც ეტყობოდა, რომ ვერა და ვერ მიიღო თავის იერსახე. გუნდი ისევ შეუთამაშებელია, შემადგენლობა ხშირად იცვლება და ცალკეული ფეხბურთელებიც სხვადასხვა პოზიციაზე თამაშობენ. თუმც ზოგიერთმა მათგანმა, თემურ ბურნაძემ და რომან გოგინაშვილმა ადრინდელზე უკეთ წარმოაჩინეს თავი. რევაზ არველაძე ალბათ მეტს ელოდა საყრდენად გამწესებულ რევაზ ქემოკლიძისგან — ამ ფეხბურთელს ალბათ კიდევ სჭირდება დრო, საუკეთესო ფორმას რომ დაუბრუნდეს. იგივე შეიძლება ითქვას ნანაზეც, ვინც მუყაითობდა, მაგრამ ზემოთხსენებული ჯარიმის გარდა ვერაფერი შემატა „ლოკომოტივს". რკინიგზელებს ვერც შეცვლაზე შესულმა ფორვარდებმა, მიქაძემ და რეხვიაშვილმა გაუმართლეს, რომლებიც ასევე არ არიან თავიანთ საუკეთესო კონდიციებში.

„სიონმა" კი თავი გამოიდო. წუნი ბოლნისელთა თამაშშიც იყო, მაგრამ ოთარ გაბელიას გუნდი „ლოკომოტივისგან" განსხვავებით მოედნის ცენტრში და მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან სისწრაფის მომატებას ახერხებდა. სწორედ ასეთი აჩქარების შემდეგ გაიტანა გოლი იური გაბისკირიამ, როცა მოხდენილად გაათამაშა კედელი გონჩაროვთან და გრიშიკაშვილსაც ოსტატურად გაუტანა.

სისწრაფის მომატების ხარჯზე გაახერხა „სიონმა" საგოლე ჯარიმაც, რომლის შესრულება აქვსენტი გილაურმა იკისრა და ბექემურადაც დაატრიალა ბურთი, რომელიც ჯერ ხარიხას მოხვდა და ბადეში მინდვრიდან აიჭრა.

ცოტაც და გილაურს მძიმე ტრავმა მიაყენა გოგინაშვილმა, რაც მატჩის არბიტრმა დავით სანაიამ თვალიდან თვალში გაატარა.



ბორის გონჩაროვმა (№20) რკინიგზელებს მატჩის დასაწყისშივე გაუტანა

# შენი სახელი, ბიჭო?
## ჟოაომ ტორპედო დაიმახსოვრა

ბათუმი. 18 ოქტომბერი. 16 საათი. დინამო. 800 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 4:0 ტორპედო

1:0 გუშარაშვილი (10), 2:0 მახარაძე (41), 3:0 კაკალაძე (57), 4:0 შენგელია (80)

**ბათუმი:** ქვაჩახია, კობიძე, გუშარაშვილი, ბეგლარ თედორაძე (რომანაძე 84), გალოგრე, მახარაძე (ცანავა 84), ქაცარავა, მანჩხავა, ი. შენგელია, სირბილაძე (ბესიკ თედორაძე 70), კაკალაძე
*სათადარიგონი:* ი. ბალაძე; ბეჟანიძე, მ. სალუქვაძე, დუმბაძე
**მწვრთნელი:** ვალერიან ჩხარტიშვილი

**ტორპედო:** სტურუა, ნერგაძე, ხვადაგიანი, მახვილაძე, ს. თოდუა, გ. ჩხეტიანი (პოროშინი 46), გამეზარდაშვილი, კვეტენაძე, ბაბუნაშვილი, ახალკაცი (ლალაძე 72), მუშკუდიანი (ზ. ქუთათელაძე 75)
*სათადარიგონი:* სომხიშვილი; კვერნაძე, ლ. ჭელიძე, გოგოლაძე
**მწვრთნელი:** ჟოაო კამპუში

**გაფრთხილება:** თოდუა (60), პოროშინი (64), ახალკაცი (64)

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); კ. მესხი (ზუგდიდი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე; **დირექტორი:** გ. კეტაშვილი

ჯარიმა: 15-22; კუთხური: 5-5; კარისკენ დარტყმა: 1-2; კარში დარტყმა: 6-5; თამაშგარე: 1-3

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

**„ტორპედომ"** ზედიზედ მეოთხედ წააგო, საკუთარი ანტირეკორდიც დაამყარა და თამაშიც ისეთი აჩვენა, ძალიან ცუდი, რომ ეთქმის. ბრაზილიელმა მწვრთნელმაც ვერ უშველეს იმერლებს. პირიქით, ჟოაო კამპუშის დამოძღვრილი გუნდი იმდენად არეულ-დარეული ჩანდა, კარგა ხანს ვერ დალაგდება.

ბრაზილიელმა სამ დღეში მხოლოდ ის მოასწრო, რომ საკუთარი ფეხბურთელების სახელები დაიმახსოვრა და უცნაური ტაქტიკური ცვლილებები მოახდინა. თავად განსაჯეთ, შემტევი ჩხეტიანი საყრდენად ათამაშა, მემარცხენე თოდუა კი მარჯვნივ. ამიტომაც იყო, „ტორპედო" თამაშის დალაგებას პირველი წუთიდან ბოლომდე ამაოდ რომ ცდილობდა.

თანდათან იხვეწება „ბათუმი". ვალერიან ჩხარტიშვილისა და ასლან ბალაძის დამოძღვრილებმა შაბათს ტაქტიკურად რიგიანი ფეხბურთი აჩვენეს და სათამაშო დისციპლინითაც გამოიჩინეს თავი. შედეგად ისე იოლად იმარჯვეს, ვინძლო თავადაც კი გაუკვირდათ.

ნამატჩევს ჟოაო კამპუში წუწუნებდა — ბურთს ჩვენ ვფლობდით, გოლები კი მეტოქეს გაჰქონდაო. მართლაც ასე იყო, იმერლებს ტერიტორიული უპირატესობა ეპყრათ, მაგრამ შეტევის ბოლო ფაზაში ისეთი უსუსურნი ჩანდნენ, „ბათუმის" დაცვა შეუვალ კედლად აქციეს.

მასპინძლებმა სწრაფი გოლის გატანა მოახერხეს. მეათე წუთი იყო, ვანო მახარაძემ დაახლოებით 30 მეტრიდან ისეთი დააქუხა, გატანა მადლი იქნებოდა. ივარგა სტურუამ, ზედ ცხრიანიდან მოხსნა ურთულესი ბურთი, თუმცა კუთხურიდან ჩაწოდებულს გუშარაშვილმა თავი დაუხვედრა და მიწიდან ასხლეტილი კარშიც მოათავსა.

„ტორპედო" არ დაბნეულა, როგორც შეეძლო, ისე გაიწია გასათანაბრებლად, მაგრამ საიმედოდ მოთამაშე მეტოქეს ვერაფერი დასტყუა. ორჯერ ახლოს იყვნენ მიზანთან სტუმრები. ჯერ ტაიმის შუაწელში ახალკაცმა იბრძოლა ჯიგრიანად, რამდენიმე მეურვე ჯაჯგურში ჩამოიცილა და დასარტყმელ პოზიციაზეც აღმოჩნდა, თუმცა დარტყმა დააგვიანა და მარჯვნიდან შემორბენილ თოდუას დაუგორა. მან კი პირდაპირ ქვაჩახიას მოარტყა ბურთი.

მეორე ეპიზოდი უფრო მწვავე იყო. მაღალ ჩაწოდებულზე ქვაჩახია შეცდა, ბურთი ვერ შეიმაგრა და ბაბუნაშვილს ცარიელ კარში გატანა მართებდა. თითქოს კარგადაც ჩაუკიდა, მაგრამ ისევ ქვაჩახიამ ივარგა, თითის წვერებით შეუცვალა ბურთს მიმართულება. შორეულ ძელთან გადაცდენილს კი ახალკაცმა ვერ მიუსწრო.

აქედან სამ წუთში ბათუმელებმა მეორეც გაიტანეს. ისევ კუთხურიდან, ისევ შენგელიას ჩაწოდებულზე, ოღონდ ამჯერად ახლო ძელთან მახარაძე ჩაუწვა ბურთს და თავურით ანგარიში გაზარდა.

შესვენების შემდეგ ჟოაო კამპუშმა თავდამსხმელები მოიკითხა და მოედანზე პოროშინი შეუშვა. ანდრიმ ბოლომდე იბრძოლა, ყველაზე მეტად მონდომებული ჩანდა, მაგრამ თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს.

„ბათუმმა" ორჯერ კონტრშეტევაზე დაიჭირა მეტოქე. ჯერ კაკალაძემ სირბილაძის პასი მიიღო, სისწრაფეში მახვილაძე ჩამოიცილა და სტურუასთან მარტო დარჩენილმა უნაკლოდ დაარტყა.

თამაშის დასრულებამდე ათიოდე წუთით ადრე შენგელიამ ჩინებული დარტყმით ლოგიკური წერტილი დასვა. ფლანგზე მანჩხავა აიჭრა და საჯარიმოში დიაგონალური პასი გაჭრა. იქ კი შენგელიამ დაახლოებით 15 მეტრიდან ვარდნაში შეუჩერებლივ დაჰკრა ბურთს და ახლო კუთხეში „ჩაჭედა".

პრესკონფერენციაზე ბრაზილიელმა *ჟოაო კამპუშმა* თქვა — გუნდში ბევრი სამუშაოა, სიტუაციის შეცვლა შეიძლება. ერთი თამაში კი წავაგეთ, მაგრამ წინ 10 მატჩია. ძალიან გართულდა ქქვსეულში მოხვედრა, ყველაფერი ფეხბურთელებზე, ჩემზე, როგორც მწვრთნელზე და იმ სამუშაოზეა დამოკიდებული, რომელიც გასაკეთებელი გვაქვსო.

*ვალერიან ჩხარტიშვილმა* კი ეს ბრძანა: ხარვეზები ჯერ კიდევ გვაქვს, მაგრამ, რაც მთავარია, სათამაშო დისციპლინის ამაღლებას მივაღწიეთ და შედეგიც სახეზეა. ბიჭების მიმართ მადლობის მეტი რა მეთქმის. მათ ჩვენი დავალება მთელი გულით შეასრულეს.

მცხეთა. 18 ოქტომბერი. 16 საათი. არმაზი. 2 000 (ტევადობა 3 000)

## მცხეთა 1:4 ვიტ ჯორჯია

0:1 გოჩაშვილი (32), 0:2 ნოზაძე (63), 0:3 გოცირიძე (64), 1:3 ლ. ქებაძე (81), 1:4 დილმელაშვილი (87)

**მცხეთა:** ცინაძე, ჯაფარიძე, გ. ქებაძე, რაქვიაშვილი, ძაგნიძე, კირვალიძე, ლ. ქებაძე, თირქია, ავალიანი, პარამონოვი (მუშუქია 46), ჩილვინაძე (გვენცაძე 77)
*სათადარიგონი:* ბედუკაძე; ბ. ნოზაძე, ხიდაშელი, სუბელიანი, ჩიტაური
**მწვრთნელი:** ვლადიმერ გუცაევი

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, ზვ. ლაბაძე, ინწკირველი, იმედაშვილი, დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, დეკანოსიძე (დ. დოლიძე 66), მარცვალაძე (ფეიქრიშვილი 77), გველესიანი, რ. გოცირიძე (ადამია 65), ლ. გოჩაშვილი
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; დათუნაიშვილი, ბერელიძე, კვახაძე
**მწვრთნელი:** ზურაბ ბერიძე

**გაფრთხილება:** კირვალიძე (83)

**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი, მ. ელიკაშვილი; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი; **დირექტორი:** გ. ძამუკაშვილი

ჯარიმა: 18-17; კუთხური: 4-6; კარისკენ დარტყმა: 6-8; კარში დარტყმა: 5-8; თამაშგარე: 2-3



ამ სეზონში გიორგი ცინაძეს ვიტელებმა უკვე 11-ჯერ გაუტანეს

# ეგრე ესადაა?!
# ვიტ ჯორჯიამ მცხეთა ააოთხა

**კოკა ინასარიძე მცხეთიდან**

**უძლეველი** ზღუდე გამოდგა „ვიტ ჯორჯია" „მცხეთისთვის". 11:1 — ასეთია ამ გუნდებს შორის ორი მატჩის ჯამური ანგარიში. მაშინ, როცა „მცხეთა" ერთმანეთის მიყოლებით ამარცხებს „ლოკომოტივს", „დინამოს", „ტორპედოს", „კოლხეთსა" და სწორედ ამ გუნდებთან მოპოვებული ქულებით ცხრილში ყველასთვის მოულოდნელად მეხუთე ადგილზე წამოსკუპდა, „ვიტ ჯორჯიას" ვერაფერს უხერხებს. გოლებით გაძლო „მცხეთამ" თბილისელები. 12 მატჩში გატანილი 21-დან 11 გოლი „ვიტ ჯორჯიამ" მცხეთელებთან მოაგროვა. 7:0 იყო პირველ ტურში, 4:1 — ახლა.

არადა, შაბათის მატჩი ისე დაიწყო, ვერ იფიქრებდი, ხუთი გოლით თუ დასრულდებოდა. ორივე გუნდი, უფრო კი „მცხეთა", დაცვას უთმობდა მეტ ყურადღებას, თუმცა ეპიზოდებში „ვიტ ჯორჯია" მძლავრობდა და მეტოქის კარისკენ მიიწევდა, „მცხეთაც" იჩხვლიტებოდა.

პირველი რეალური ხიფათი მერლანის შეცდომას მოჰყვა. მეკარის მოგერიებული ბურთი ცენტრის ხაზთან ჩილვინაძემ მიიღო და სწრაფადვე შეუტია, საჯარიმოს მიახლოებულმა ბურთი პარამონოვს გაუგორა, მან კი დასარტყმელად ჩინებულ პოზიციაში მყოფ ავალიანს. მცხეთელს ფეხი დაუცდა და საგოლე მომენტიც გაცუდდა. ხუთ წუთში ისევ ჩილვინაძემ იყოჩაღა, თუმცა ავალიანის არ იყოს, ხეირიანად ვერც მან დაარტყა. იქამდე კი გველესიანის მომენტმა აანერვიულა მასპინძლები. ტაიმის ნახევარი რომ მიილია, დეკანოსიძე-ცინაძის დუელი იყო, ერთის ჩინებული თავური და მეორის ასეთივე ნახტომი.

„მცხეთა" 32-ე წუთზე გატყდა. მასპინძელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობით მატჩში უდავოდ საუკეთესო გოჩაშვილმა ისარგებლა და ორიოდ მეტრიდან ბურთი შორეულ კუთხეში შეაგორა — 0:1.

მეორე ტაიმის საწყისი ათი-თხუთმეტი წუთი კი მცხეთელებისა იყო. ბურთი სტუმართა ნახევარზე, ხშირად საჯარიმო მოედანზეც გორაობდა. მიზანთან ახლოს იყვნენ ჩილვინაძე და ავალიანი, თუმცა მათ სიზუსტე აკლდათ. ამასობაში კი „ვიტ ჯორჯიამ" ისევ აწყო თამაში და 63-ე წუთზე მეორედ იხეირა. კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ცინაძეს გაუვარდა, ლაბაძის დარტყმული კი ნოზაძეს მიუგორდა და მანაც დაუცველ კარში აუღელვებლად შეაგდო. იქვე სტუმრებმა მესამეც გაიტანეს. „მცხეთა" რომ მეტოქის კარისკენ დაიძრა, გოჩაშვილი გაიპარა მარჯვენა ფლანგზე და გოცირიძეს გაატანინა.

„მცხეთა" თამაშის გადამრჩენელს არ ჰგავდა, თუმცა კი „ვიტ ჯორჯიას" მესამე გოლის შემდეგ სტუმართა სიმშვიდემ მცხეთელებს ხელ-ფეხი გაუხსნა და მათაც ერთიმეორის მიყოლებით რამდენიმე სერიოზული ხიფათი შექმნეს. მერლანს მასპინძლებმა სამჯერ ზედიზედ დაურტყეს — მეკარემ იყოჩაღა. მალე კი მცხეთელმა ლაშა ქებაძემ გაიტანა, თუმცა მცველთა შეცდომის ფასად.

მერე ერთი-ორჯერ კვლავ „მცხეთის" სახიფათო მომენტი იყო, თუმცა უშედეგო. შედეგიანი კი დილმელაშვილის საჯარიმოდან დარტყმული გამოდგა, როცა ბურთი მასპინძელ მცველს მოხვდა და რიკოშეტით ცინაძისგან დაცული კუთხის საპირისპიროში შეგორდა.



ვლადიმერ გოჩაშვილმა გოლი მაისურის გახდით აღნიშნა

# ეს ფეხბურთი კოკამ გაახალისა

**ვაჟა ხუციშვილი**

**ამ გუნდების** ოზურგეთული მატჩისგან განსხვავებით, თბილისში სადავო არაფერი მომხდარა. დედაქალაქელებმა მეტოქე პირველი ტაიმის მიწურულს ორ წუთში დააშამათეს. მანამდე წვიმის თანხლებით მოედანზე გამართულმა ბრძოლამ მხოლოდ ოთხი ყვითელი ბარათი მოიტანა. სახიფათო მომენტების სიმწირე იყო, თუმც მასპინძლები „მერცხალის" დაცვას უფრო აწუხებდნენ, ვიდრე პირიქით.

სტუმრები საკუთარ ნახევარზე დალაგდნენ და თბილისელთა იერიშებს ნახევარი საათის განმავლობაში კარგად იგერიებდნენ. სველი მინდორი დავითაშვილს ჩვეული სისწრაფის გამოყენებაში ხელს უშლიდა. სულიკოს პასებით ამარაგებდნენ, მაგრამ მცველებს ვერ უსხლტებოდა. დამხვდურთა შუახაზმა მეტოქის დაცვის გაწელვა ფლანგებიდან სცადა, თუმცა ხეირი არც ამ ხერხს მოჰყოლია. გია გოგუა, ისევე როგორც მისი კოლეგა, მეტწილად უსაქმოდ იყო.

სტუმრებს წინ ერთი კაცი, გაბედავა ჰყავდათ. ეულ ფორვარდს სამ მცველთან გამკლავება, ცხადია, უჭირდა.

„მერცხალის" შეტევები მოედნის ცენტრშივე იშლებოდა. მიუხედავად ამისა, კალანდაძემ ნაჭყეპიას შეცდომით კინაღამ ისარგებლა. მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმო დარტყმა შეასრულა. კარიდან წინ გამოსული მეკარე ვერ შესწვდა ბურთს, რომელიც ხარიხას მოხვდა.

პირველი გოლი სტუმართა კარში ამ მომენტის შემდეგ გავიდა. მიკუჩაძემ საჯარიმოს გარედან დაარტყა. ბურთი გზად მცველს შეეხო, მიმართულება იცვალა და გია გოგუა გაშეშებული დარჩა — 1:0.

„მერცხალმა" გათანაბრება უმალ მოიწადინა, თუმც კონტრშეტევა გაეპარა და მეორე გოლი გაუშვა. გოგიტა გოგუამ მარცხენა ფლანგზე მეტოქეს სისწრაფით აჯობა, საჯარიმოში შეჭრილ აფციაურს ზუსტი პასი მიაწოდა, რომელმაც კარიდან მის შესახვედრად გამოსულ მეკარეს ცაციით ბურთი თავზე გადაავლო.

მიჯრით გაშვებული ორი გოლის მიუხედავად „მერცხალს" ფრთები არ ჩამოუყრია. მარჯვენა ფლანგიდნ წამოწყებული კომბინაცია თბილისელთა საჯარიმოში გაგრძელდა და მცველების მოგერიებულ ბურთს ჭინჭარაულმა საგოლედ დაჰკრა. სტუმრები იშტაზე მოვიდნენ, მაგრამ ტაიმი დასრულდა.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა სტუმრები საკუთარ ნახევარზე გადაიპატიჟეს, თვითონ კი კონტრშეტევებზე გადაეწყვნენ. ასეთმა ტაქტიკამ „თბილისი" მესამედ ახეირა. შეცვლაზე ხუთი წუთის შესული ჭელიძე ოდიკაძის ჩაწოდებულ ბურთს შორეულ ძელთან დაუხვდა და გოგუას უზადო თავურით გაუტანა.

დედაქალაქელებმა ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტი საგოლე მომენტი შექმნეს, რადგან „მერცხალმა" გასათანაბრებლად ზურგი მოიშიშვლა. თბილისელებმა არაერთხელ დაარტყეს შორი და საშუალო მანძილიდან, მაგრამ მათ ხან სიზუსტე აკლდათ, ხან — ძალა.

სტუმრებმა სხვაობის შემცირების ერთი კარგი შანსი მატჩის მიწურულს ვერ გამოიყენეს. მცველის შეცდომის შედეგად სიამაშვილი მეკარესთან პირისპირ დარჩა, თუმცა ნაჭყეპიამ იყოჩაღა და მეტოქეს ფეხებში ვარდნით აართვა ბურთი.

ცოდვა იქნება, კოკა მიკუჩაძის პასზეც არ ვთქვათ— პირველ ტაიმში თანაგუნდელს ფეხზე ფეხის უკნიდან შემოტარებით ორიგინალური პასი გაუკეთა და წვიმისგან მოწყენილი გულშემატკივრები ხასიათზე მოიყვანა.

თბილისი. 18 ოქტომბერი. 16 საათი. შევარდენი. 100 (ტევადობა 3 000)

## თბილისი 3:1 მერცხალი

1:0 მიკუჩაძე (34), 2:0 აფციაური (36), 2:1 ჭინჭარაული (44), 3:1 გ. ნოდ. ჭელიძე (61)

**თბილისი:** ნაჭყეპია, ლოლაძე, სიდამონიძე, ელიავა, კვარაცხელია, გოგიტა გოგუა (გეწაძე 60), მესხი, ხოჯავა (დ. ოდიკაძე 21), აფციაური, მიკუჩაძე, დავითაშვილი (გ. ნოდ. ჭელიძე 55)
*სათადარიგონი:* ივარდავა; ხარებავა, მემარნიშვილი, გ. ნუგ. ჭელიძე
**მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი

**მერცხალი:** გია გოგუა, კვირკვია, ჭალიაშვილი, გ. ილურიძე, მჟავანაძე, ბართია, ჭინჭარაული, მებონია (ასკურავა 68), სიამაშვილი, გაბედავა, კალანდაძე
*სათადარიგონი:* რობაძე; გ. წივწივაძე, კობაური, ჩიჩუა, ჯაბუა, გრიგორიევი
**მწვრთნელი:** სერგო გაბელაია

**გაფრთხილება:** სიამაშვილი (8), ჭინჭარაული (10), კვარაცხელია (15), ილურიძე (25)

**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), მ. ურუშაძე; ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ს. კუტივაძე; **დირექტორი:** გ. ჯიშკარიანი

ჯარიმა: 19-12; კუთხური: 8-7; კარისკენ დარტყმა: 4-5; კარში დარტყმა: 8-3; თამაშგარე: 2-6



„მერცხალის" მეკარე გია გოგუა თბილისელებმა სამჯერ დაამწუხრეს

თბილისი. 19 ოქტომბერი. 16 საათი. ლოკომოტივი. 200 (ტევადობა 25 600)

## სპარტაკი 0:3 დინამო

0:1 ალექსიძე (8), 0:2 დარასელია (63), 0:3 იაშვილი (79)

**სპარტაკი:** მამალაძე, დონდოლაძე, ჟვანია, ჩიკვილაძე, იმნაიშვილი, გ. დოლიძე (ტატანაშვილი 46), ბოლქვაძე, ალადაშვილი (ფირცხალავა 86), გ. თოდუა, კვერენჩხილაძე, კოტრიკაძე (წურწუმია 73)
*სათადარიგონი:* შეყრილაძე, ებრალიძე, მგელაძე
**მწვრთნელი:** ვასილ ჭეიშვილი

**დინამო:** ზოიძე, აბალაძე, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, გოგობერიშვილი, ბურდული, ანჩაბაძე (მელქაძე 46), დარასელია (სახვაძე 82), ალექსიძე (იაშვილი 68)
*სათადარიგონი:* გვარამაძე, წერეთელი, კანდელაკი, ი. სამხარაძე
**მწვრთნელი:** ივო შუშაკი

**გაფრთხილება:** ხიზანეიშვილი (66)

**მსაჯები:** მ. მაისურაძე, გ. ვადაჭკორია (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა; **დირექტორი:** პ. ბურჯალიანი

ჯარიმა: 13-14; კუთხური: 3-5; კარისკენ დარტყმა: 5-11; კარში დარტყმა: 5-10; თამაშგარე: 3-4

# გამოიცან, რომელია?

## ლუის ცაკარიასის მეზობლებს „ლოკომოტივის წაგება გაუხარდათ

**კახა შალამბერიძე**

**თბილისის** „დინამოს" ასეთი შემადგენლობით კარგა ხანია, არ უთამაშია. ივო შუშაკს ტრავმირებული ფეხბურთელები გამოუჯანმრთელდა და აუტსაიდერ „სპარტაკს" საუკეთესო შემადგენლობით ესტუმრა. დინამოელთა ერთადერთი დანაკლისი ბრაზილიელი კარლოსი იყო, რომლის ადგილიც დაცვის მარჯვენა ფლანგზე, მოულოდნელად, ლადო ახალაიამ დაიკავა.



ვიტალი დარასელიამ (№6) „სპარტაკს" ბოლო მოუღო

ამ მატჩამდე, წინა დღეს, „ვიტ ჯორჯიამ" „მცხეთასთან" მოგებით „დინამოს" ლიდერობა წაართვა, თუმც მხოლოდ 24 საათით. ივო შუშაკის ბიჭებმა ახალგაზრდა სპარტაკელების ძლევით კუთვნილი ადგილი დაიბრუნეს.

„დინამომ" მცირე ინტრიგას პასუხი თავიდანვე გასცა. მე-8 წუთზე რატი ალექსიძემ იაქტიურა და საჯარიმოში შეჭრილმა ზურაბ მამალაძეს შანსი არ დაუტოვა.

დამშვიდებულმა სტუმრებმაც შეტევაზე ფიქრს ფრთხილი თამაში ამჯობინეს. მოედნის ცენტრში „დინამო" აშკარად მძლავრობდა, მაგრამ ერთი-ორჯერ „სპარტაკის" სწრაფი კონტრშეტევა ისეთი მწვავე გამოდგა, რომ ბევრმა გაიფიქრა, ეს მატჩი ასე არ დამთავრდებაო. ერთი სიტყვით, ირაკლი ზოიძემ ორჯერ იხსნა თავისი გუნდი დავით ბოლქვაძისა და მიხეილ კოტრიკაძის დარტყმებისგან.

შუშაკის ბიჭებმაც რისკს მეორე გოლის გატანა ამჯობინეს და თამაში „სპარტაკის" ნახევარზე გადაიტანეს, თუმცა გადაცემებში ბევრ წუნს ურევდნენ და სახიფათო მომენტის შექმნა ამადაც უჭირდათ.

მეორე ტაიმში ივო შუშაკმა ანჩაბაძის ნაცვლად ლევან მელქაძე გამოიყვანა და ამით თავდასხმიდან გამთამაშებლად დაწეულ ვიტალი დარასელიას გაეხსნა ხელ-ფეხი.

ახალგაზრდა მასპინძლები ხავსს კი ეჭიდებოდნენ და მეტოქეს მედგრად ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ 63-ე წუთზე ვიტალი დარასელიამ მათი იმედი ბოლომდე ჩაკლა. საჯარიმოს გარედან „დინამოს" მეექვსე ნომრის უძლიერესი დარტყმა მამალაძის კარის მარცხენა ცხრიანში შეეკერა. გოლი იმდენად ლამაზი გამოდგა, რომ დაბნეული მაყურებელი გამეორების ნახვას „ითხოვდა".

ხუთ წუთში შუშაკმა რატი ალექსიძეც შეცვალა და მოედანზე სანდრო იაშვილი გამოჩნდა. მომენტებმაც „სპარტაკის" კართან იმატა, თუმცა მანამდე ორჯერ ზოიძეც ანერვიულდა, როცა ტატანაშვილის და კვერენჩხილაძის დარტყმულები ოდნავ ასცდა კარს. იაშვილს კი ბევრი ლოდინი არ დასჭირვებია — 79-ე წუთზე მესამედ აილო მასპინძელთა კარი.

ამის შემდეგ გასარკვევი აბა, რა დარჩებოდა. „დინამომ" დიდი ანგარიშით მოიგო და სატურნირო ცხრილს სათავეში დაუბრუნდა, „სპარტაკისგან" კი მეტის მოთხოვნა სისულელე იქნება. ვასილ ჭეიშვილის გუნდმა ქვეყნის ჩემპიონს გოჯი არ დაუთმო, მაგრამ ეს საკმარისი არ გამოდგა.

„ლოკომოტივის" სტადიონზე კი ერთი უცნაური გამოცანა-ფაქტიც შევნიშნეთ: ინფორმაციამ „სიონის" „ლოკომოტივზე" გამარჯვების შესახებ გვარიანი ყიჟილ-ხივილი და ტაში გამოიწვია. „სიონის" მოგება „დინამოს" ქომაგებს ნაკლებად გაახარებდათ. და აბა, ვის? თუ შეძლებთ, გამოიცანით...

და თუ ამ გამოცანას თავი ვერ გაართვით, მაშინ ახალ ამბავსაც გეტყვით: ამ „უცნობი" ქომაგის გარდა ტრიბუნაზე ჩვენთვის კარგად ნაცნობი ლუის ცაკარიასიც იჯდა...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 12 | 8 | 2 | 2 | 29:5 | 26 |
| ვიტ ჯორჯია | 12 | 7 | 4 | 1 | 21:6 | 25 |
| დილა | 12 | 7 | 2 | 3 | 16:8 | 23 |
| სიონი | 12 | 6 | 5 | 1 | 15:7 | 23 |
| მცხეთა | 12 | 5 | 1 | 6 | 15:24 | 16 |
| ლოკომოტივი | 11 | 4 | 3 | 4 | 14:14 | 15 |
| თბილისი | 11 | 4 | 2 | 5 | 14:15 | 14 |
| ტორპედო | 12 | 4 | 2 | 6 | 9:14 | 14 |
| ბათუმი | 12 | 4 | 1 | 7 | 12:14 | 13 |
| კოლხეთი | 12 | 3 | 3 | 6 | 9:14 | 12 |
| სპარტაკი | 12 | 2 | 3 | 7 | 7:26 | 9 |
| მერცხალი | 12 | 2 | 2 | 8 | 12:26 | 8 |

# 7-ის შვიდში შვიდი

## არველაძის გოლი ქულას ეყო

**შოთა არველაძემ** კიდევ ერთხელ გაიხარა — „მოზერუელთან" მე-15 წუთზე გატანილი გოლი მეშვიდე პრემიერლიგული გამოდგა ამ სეზონში ქართველი თავდამსხმელისთვის. „რეინჯერსმა" კი მაინც ვერ მოუგო უსახელო მეტოქეს. მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს და მრისხანე გლაზგოელებთან ქულა გაიყვეს. შოთას დარად, ზურაბ ხიზანიშვილმაც სრულად ითამაშა.



ეს-ესაა შოთა არველაძემ „მოზერუელს" გაუტანა

90 წუთი დაჰყო მოედანზე გიორგი ნემსაძემაც. ჭაღარა იტალიელ ფაბრიციო რავანელით გაძლიერებულმა „დანდიმ" 1:0 მოუგო „პარტიკს" და სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა — ბურთების უკეთესი სხვაობით მესამე ადგილზე მოკალათდა.

გერმანიაში სამივე ქართველი დამარცხდა. ლევან კობიაშვილის „შალკე" შინ „ბოხუმთან" დაიჩაგრა, იაშვილ-ცქიტიშვილის „ფრაიბურგი" კი „კიოლნმა" გააკრა ბეჭებზე.

სამაგიეროდ, მეორე ბუნდესლიგაში იყოჩაღა ჩვენებურმა. ხვიჩა შუბითიძემ პირველი გოლი გაუტანა „კარლსრუეს". ქართველი თავდამსხმელი მწვრთნელმა 78-ე წუთზე შეცვალა, აუე-მ კი მე-12 ადგილამდე ამოყვინთა.

ზედიზედ მეორე მატჩია, ერთნაირი ანგარიშით, 5:3 [illegible] გოგა გახოკიძის „ტვენტე". წინა ტურში „ვიტესთან" გოგამ სამი საგოლე პასი გააკეთა, ამჯერად „გრონინგენთან" ერთს დასჯერდა, თუმც უკმაყოფილო მაინც არავინ დაუტოვებია.

მნიშვნელოვანი სამი ქულა მიითვალა „ტორპედო-მეტალურგმა". რუსული პრემიერლიგის აუტსაიდერმა სტუმრად 1:0 დაამარცხა თანაქალაქელი „დინამო". ალექსანდრე რეხვიაშვილი კი მატჩის განაცხადშიც არ იყო.

უკრაინაში მოულოდნელად წაიფორხილა დონეცკის „მეტალურგმა". გიორგი დემეტრაძემ თავისი გოლი ამჯერადაც გაიტანა, მაგრამ „ობოლონმა" გამარჯვებას მაინც მიაღწია.

ბულგარეთში ქართული დერბი ამირან მუჯირის გამარჯვებით დასრულდა. „მარეკმა" 2:0 მოუგო გვიანიძის „ბოტევს". ამირანმა თავი გოლით გამოიჩინა.

ქართული დერბი იყო კვიპროსზეც, ოღონდ „პარალიმნის" ტრავმირებული ლევან ქებაძე აკლდა. „ანართოსისს" კი უქებაძეო „პარალიმნთან" მოგებაში თემურ ქეცბაია გოლით შეეწია.

**კახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ლაციო 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ბოხუმი 0:2 | 90 | | 9 | 0 | 12 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | კიოლნი 0:1 | 90 | | 9 | 1 | 9 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | კიოლნი 0:1 | 90 | | 9 | 1 | 9 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | კარლსრუე 2:0 | 78 | 1 გოლი, შეცვალეს | 9 | 4 | 12 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | მოზერუელი 1:1 | 90 | 1 გოლი | 7 | 7 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | მოზერუელი 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 9 | 0 | 2 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | პარტიკი 1:0 | 90 | | 9 | 0 | 3 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | გრონინგენი 5:3 | 90 | საგოლე პასი | 8 | 0 | [illegible] |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | ბრეგენცი 1:1 | 30 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 0 | 8 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | შინიკი 6:1 | 0 | სათადარიგო | 11 | 1 | 3 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | შ | შინიკი 6:1 | 69 | 2 გოლი, შეცვალეს | 11 | 8 | 3 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | შ | კრილია 3:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 18 | 3 | 4 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | შ | კრილია 3:1 | 0 | სათადარიგო | 10 | 0 | 4 |
| ვალერი აბრამიძე | ურალანი | ს | სატურნი 1:2 | 90 | | 5 | 0 | 15 |
| ვასილ გიგიაძე | ურალანი | ს | სატურნი 1:2 | 45 | შეცვალეს | 13 | 2 | 15 |
| ანზორ კალაძე | ურალანი | ს | სატურნი 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 15 |
| გიორგი ლომაია | სპარტაკი | შ | ცსკა 0:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 10 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ტ. მეტალურგი | ს | დინამო 1:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 21 | 1 | 14 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | ჩერნომორეცი 4:2 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | [illegible] |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიცა | შ | გროცლინი 1:0 | 90 | | 9 | 1 | 2 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | ს | ობოლონი 1:2 | 90 | | 12 | 1 | 4 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | ობოლონი 1:2 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | 11 | 8 | 4 |
| ზურაბ იონანიძე | ტავრია | ს | კარპატი 0:1 | 0 | სათადარიგო | 10 | 2 | 15 |
| გრიგოლ ჭანტურია | ტავრია | ს | კარპატი 0:1 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 15 |
| ლევან მიქაძე | კრივბასი | ს | შახტარი 0:0 | 90 | | 11 | 0 | 13 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | ჩერნომორეცი 2:2 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 12 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | ს | დნიპრო 0:0 | 30 | შეცვლაზე ითამაშა | 11 | 3 | 6 |
| გელა შეყრილაძე | არსენალი | ს | დნიპრო 0:0 | 90 | | 8 | 0 | 6 |
| გიორგი ციმაკურიძე | შახტარი | შ | კრივბასი 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| **უნგრეთი. ბორსოდი ლიგა** | | | | | | | | |
| კახა ჩხეტიანი | პეჩი | ს | ჰალადაში 0:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 0 | 6 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | ს | ბოტევი 2:0 | 90 | 1 გოლი | 8 | 3 | 13 |
| ავთანდილ გვიანიძე | ბოტევი | შ | მარეკი 0:2 | 0 | | 4 | 0 | 16 |
| **თურქეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | შ | კარშიაკა 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 3 | 0 | 3 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | დინაბურგი 2:1 | 90 | | 17 | 5 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | დინაბურგი 2:1 | 90 | | 7 | 1 | 1 |
| თამაზ პერტია | არმა | ს | აუდა 0:1 | 90 | | 21 | 2 | 8 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | პარალიმნი 3:2 | 90 | 1 გოლი | 6 | 3 | 5 |
| ლევან მაღრაძე | აელ | შ | დოჰა 8:0 | 0 | | 5 | 1 | 6 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | შ | ანართოსისი 2:3 | 0 | ტრავმირებულია | 4 | 5 | 7 |
| გიორგი ქორიძე | ევტაპასი | შ | აპოელი 0:3 | 90 | | 6 | 5 | 6 |
| დავით პეტრიაშვილი | ევტაპასი | შ | აპოელი 0:3 | 0 | | 4 | 1 | 10 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| დავით ჯანაშია | ატირაუ | შ | ვოსტოკი 3:1 | 0 | სათადარიგო | 6 | 2 | 6 |
| ლევან ბაჯელიძე | ატირაუ | შ | ვოსტოკი 3:1 | 73 | 1 გოლი, შეცვალეს | 9 | 2 | 6 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

## ინგლისი

### პრემიერლიგა. IX ტური

**არსენალი 2:1 ჩელსი**

1:0 ედუ (5), 1:1 კრესპო (8), 2:1 ანრი (75)
არსენალი: ლემანი, ლორენი, ს. კემპბელი, კ. ტურე, ეშლი კოული, პარლოუ (კანუ 66), ჟილბერტო სილვა, ედუ, პირესი (სიგანი 90), ანრი, ვილტორდი (ბერხკამპი 66)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ჩელსი: კუდიჩინი, გ. ჯონსონი, მელხიოტი, ჰათი, ბრიჯი, ჯერემი (ჰასელბაინკი 78), მაკელელე, ლამპარდი, დაფი (ჯ. კოული 71), კრესპო, მუტუ (გრონკიაერი 67)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: მაკელელე, ჰასელბაინკი
მსაჯი: დარკინი
38 172 მაყურებელი

**ლიდსი 0:1 მანჩესტერ იუნ.**

0:1 კინი (81)
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, ზ. კამარა, მატეო, ოლემბე, პენანტი (ელენონი 85), ბეტი, ს. ჯონსონი, მილნერი (საკო 63), ვიდუკა (ბრიჯისი 68), ა. სმიტი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
მანჩესტერ იუნ: ჰოვარდი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი, კ. ფორჩუნი (ოში 40), ფლეტჩერი (ფორლანი 60), როი კინი, ფ. ნევილი, სქოულზი, კ. რონალდო (ბათი 90), ვან ნისტელროოი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: პენანტი, ბეტი, სმიტი, ჯონსონი, რონალდო
მსაჯი: პოლი
40 153 მაყურებელი

**პორტსმუთი 1:0 ლივერპული**

1:0 ბერგერი (4)
პორტსმუთი: ჰისლოპი, შემელი, დე ზეუვი, სტეფანოვიჩი (ფოქსი 35), ჟივკოვიჩი, სტოუნი, ქვოში (შერვუდი 90), ფეიე, ბერგერი, შერინგემი, აიეგბენი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
ლივერპული: დუდეკი, ფინანი, ანშო, ჰიიპია, რიისე, დიუფი (სინამა-პონგოლე 64), ჯერარდი, ბისკანი, შმიცერი (ლე ტალეკი 60), ჰესკი, კოუელი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე

**მანჩესტერ სიტი 6:2 ბოლტონი**

0:1 ნოლანი (25), 1:1 რაიტ-ფილიპსი (27), 2:1 დისტინი (48), 3:1 რაიტ-ფილიპსი (56), 4:1 ანელკა (58), 4:2 კამპო (60), 5:2 ანელკა (72), 6:2 რეინა (84)
მანჩესტერ სიტი: სიმენი, ჟიხაი, სომეილი, დისტინი, ტარნატი, რაიტ-ფილიპსი, ჯ. ბარტონი (რ. დანი 75), კ. რეინა, მაკმანამანი (სიბიერსკი 57), ანელკა, ფაულერი (ტიატო 68)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
ბოლტონი: იასკელაინენი, ნგოტი, ტომე (ლიტლი 79), ჩარლტონი, რ. გარდნერი, ნოლანი, ოკოჩა, კამპო, ფრანდსენი (ჟარდელი 54), იანაკოპულოსი, კ. დევისი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: რაიტ-ფილიპსი, დევისი
გაძევება: რაიტ-ფილიპსი (62)
მსაჯი: ბენეტი
47 101 მაყურებელი

**მიდლსბრო 0:1 ნიუკასლი**

0:1 ამეობი (21)
მიდლსბრო: შვარცერი, კედრუ, კუპერი, საუთგეიტი, მილსი, ზენდენი (გრინინგი 69), ბოატენგი, დორივა (ჟუნინიო პაულისტა 69), მენდიეტა, კრისტი, ნემეტი (მაკარონე 69)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ბრემბლი, ობრაიენი, ბერნარი, ჯენასი, სპიდი, ბოიერი (რობერი 77), დაიერი, შირერი, ამეობი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: დორივა, მაკარონე, მილსი, სპიდი, ობრაიენი, ბრემბლი
მსაჯი: ვაილი
34 081 მაყურებელი

**ფულემი 0:0 ვულვერჰემპტონი**

ფულემი: ვან დერ სარი, ლიკოკი, ნაითი, გომა, ბონისელი, ინამოტო (მეილსი 65), ლეგვინსკი, პემბრიჯი, მალბრანკი, კლარკი, საჰა
მწვრთნელი: კრის კოულმენი
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, ირვინი, ბატლერი, კრადოკი, ნეილორი, გუდიონსონი, რაე, კამერონი, ა. კამარა, ბლეიქი, მილერი (კენედი 59)
მწვრთნელი: დეივ ჯონსი
გაფრთხილება: ლიკოკი, ინამოტო, ნეილორი, მილერი
მსაჯი: ვები
17 031 მაყურებელი

**ლესტერი 1:2 ტოტენჰემი**

1:0 დიკოვი (38), 1:1 მაბიზელა (79), 1:2 კანო (90)
ლესტერი: უოქერი, კერტისი, ტაგარტი, ფ. სინკლერი, როჯერსი, გილესპი (ჯ. სტიუარტი 76), იზეტი, შიმეკა, სკოუკროფტი, დიკოვი (ჰინეტი 89), ლ. ფერდინანდი (მ. ბენტი 64)
მწვრთნელი: მიკი ადამსი
ტოტენჰემი: კელერი, კარი, რიჩარდსი, დოჰერტი, ტარიკო, ანდერტონი, კონჩესკი (ზამორა 66), პოიეტი (მაბიზელა 74), ს. რიკეტსი (დალმა 46), რობი კინი, კანო
მწვრთნელი: დევიდ პლიტი
გაფრთხილება: გილესპი, სინკლერი, იზეტი, ანდერტონი, დოჰერტი, მაბიზელა
მსაჯი: დურსო
31 521 მაყურებელი

**ევერტონი 0:0 საუთჰემპტონი**

ევერტონი: მარტინი, ჰაიბერტი, იობო, ვეირი, ნეისმიტი, უოტსონი, კარსლი (ლინდეროტი 63), გრავესენი, მაკფადენი (კილბეინი 65), კ. კემპბელი, ჯეფერსი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
საუთჰემპტონი: ნიემი, დოდი, ლუნდეკვამი, მ. სვენსონი, ჰიგინბოთემი, ფ. ფერნანდესი (პრატონი 54), დელაპი, ა. სვენსონი, ტელფერი, ბიტი, ორმეროდი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: კარსლი, მ. სვენსონი, ა. სვენსონი
მსაჯი: მესიასი
35 775 მაყურებელი

**ბირმინგემი 0:0 ასტონ ვილა**

ბირმინგემი: ი. ბენეტი, კლეპამი, კანინგემი, აპსონი, დ. ჯონსონი (ტებილი 79), ლაზარიდისი (ა. სისე 77), კლემენსი, სევიჯი, დ. დანი, ფორსელი, დიუგარი (მორისონი 77)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
ასტონ ვილა: სორენსენი, ჯ. სამუელი, იონსენი, მელბერგი, დილანი, ბერი, ვასელი, გ. მაკკანი, ჰენდრი (უიტინგემი 41), დე ლა კრუზი, პ. ანხელი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: კლემენსი, სევიჯი, ჰენდრი
მსაჯი: რაილი
29 546 მაყურებელი

**ბლექბერნი — ჩარლტონი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

# აბრამოვიჩი წაგებას ეჩვევა
## კუდიჩინის არსენალი გაუძვრა



REUTERS ლონდონიდან

არსენალი — ჩელსი. კარლო კუდიჩინის საბედისწერო შეცდომა ტიერი ანრის გოლით დასრულდა

კვირა საღამოს, ორმოცდაოთხდღიანი შიმშილობის შემდეგ, ტაუერის ხიდის თავზე გამოკიდებული შუშის ყუთი ჩამოხსნეს და იქიდან ამერიკელი ილუზიონისტი დევიდ ბლეინი გამოიყვანეს. ასე რომ, ჯადოსანმა პირობა აასრულა და მართლაც იშიმშილა ექვსი კვირის განმავლობაში.

შაბათ შუადღით კი „მანჩესტერ იუნაიტედმა" და „ჩელსიმ" პრემიერლიგის ცხრილის პირველი საფეხურიდან ვერ ჩამოხსნეს „არსენალი".

რაც წლევანდელი პრემიერლიგა დაიწყო, „არსენალი" მხოლოდ ექვს დღეს არ იყო ლიდერად, სამს აგვისტოში და სამსაც ამ კვირაში, სამშაბათ საღამოდან შაბათ შუადღემდე. ამ კვირაში ხომ გამოტოვებული თამაში ითამაშა ფრედ „ჩელსიმ" და ცხრილსაც ის მოექცა სათავეში, მაგრამ ეს არ იყო „მეთოფეთა" პირველი ადგილიდან მოშორება, რადგან შაბათს „არსენალი" მასპინძლობდა „ჩელსის" და 2:1 მოუგო.

მანამდე, დილით „მანჩესტერს" უკვე მოეხერხებინა „ლიდსის" დამარცხება „ელანდ როუდზე", როი კინის გვიანი თავურით და სერ ალექსი გაფაციცებით უსმენდა დიდი ლონდონური თამაშის რადიორეპორტაჟს, ეს არის და ლიდერობას დავიჭერო. თუმცა, „არსენალმა" მაინც მოიგო, რაც იმის მიზეზით მოხდა, რომ მატჩის დამთავრებამდე თხუთმეტი წუთით ადრე სტუმართა მეკარე კარლო კუდიჩინიმ საშინელი შეცდომა დაუშვა: მარცხენა ფლანგიდან რობერ პირესის გამოცურებულ ბურთზე გავიდა და ბურთი ხელებსშუა გაუცურდა, ფეხებშიც გაუძვრა და შორიახლო მოტრიალე ტიერი ანრისაც მეტი არც უნდოდა. ეს იყო გადამწყვეტი გოლი. მანამდე კი კარგა რთული თამაში მიდიოდა, ედუს მიერ დარტყმული დაბალი საჯარიმო თანგუნდელ რეი პარლოუს მოხვდა და ისე შევარდა კუდიჩინის კარში, მერე კი ერნან კრესპომ საუცხოო შორეული დარტყმით გაათანაბრა, თუმცა მსაჯ პოლ დარკინს მაინც სადავოდ გაუხდა ეს ბურთი, რადგან წუთით ადრე კრესპოს ბუცი გასძვრა და „არსენალის" კარს უკან გავიდა ზონარების მოსაწესრიგებლად. მერე კრესპომ იმავე ადგილიდან დაბრუნდა მოედანზე, თამაშგარედან ამოსვლა მოასწრო, ბურთი მიიღო, საუცხოოდაც გაიტანა, ოღონდ კი „მეთოფენი" ატყდნენ, მოედანზე შემოსვლის ნებართვა არ უთხოვიაო. გვერდითმა მსაჯმა დარკინს უთხრა, კრესპომ მანიშნა შემოვდივარო და ამბავიც ამით ამოიწურა.

„ბოლო ნახევარი საათი ჩვენი იყო. ბურთი კი იღბალა გავიდა, მაგრამ, გვეკუთვნოდა" — თქვა არსენ ვენგერმა თამაშის შემდეგ და ასეც იყო. იმ საბრალო შეცდომამდე კუდიჩინიმ საუცხოო ბურთები მოიგერია და ერთხელ ძელიც აბრამოვიჩელთა მხარეს იყო. „ჩელსის" არ ჰყავდა დაცვის ბურჯები, დესაი და ტერი, ხოლო „არსენალს" კაპიტანი ვიეირა აკლდა.

ამ თამაშის მაცქერალთ შორის ყველამ დალანდა სვენ გორან ერიკსონი, რომელიც აბრამოვიჩის შორიახლოს იჯდა თავის ნენსისთან ერთად. ხმები იმის თაობაზე, რომ კლაუდიო რანიერის სეზონს არ დაამთავრებინებენ, ძლიერდება.

ამ მოგებით „არსენალმა" პირველი ადგილი იპყრო და ქულით გადაუსწრო „მანჩესტერს", რომელიც „ელანდ როუდზე" სტუმრობდა გაუბედურებულ „ლიდსს". თუმცა, „ლიდსი" ისე არ დაეცემა, რომ „მანჩესტერს" ომით არ დაუხვდეს. 17 წლის ჯეიმს მილნერი მეორედ იყო იორკშირელთა სასტარტოში, მხცოვანი დევიდ ბეტი კი კინაღამ გოლის ავტორი შეიქნა, ვიდუკა და ალან სმიტი კი საუცხოონი იყვნენ. და მაინც, „მანჩესტერმა" თავისი გაიტანა. სტუმრებს გაციებული რაიან გიგზი ეჯდათ სკამზე, მის მაგივრად კი თეთრბუცებიანი ყმაწვილი დარბოდა. კრისტიანო რონალდოს ერთი პენალტი არ დაუდეს, რახან უკვე სიმულიანტის სახელი აქვს, მეორედ, ტყუილისთვის გააფრთხილეს, მესამედ ძელს წაჰკრა შორეული დარტყმით და საერთოდაც, ბევრჯერ და ლამაზად გაატარა ბურთი, თუმცა მხსნელი მაინც კაპიტანი იყო, რომელიც ყველასთვის მოულოდნელად თავით შეეგება გარი ნევილს კროსს და ეს გოლი ერთადერთი იყო. ლიდსელები სტვენითა და იუდას ძახილით შეეგებნენ რიო ფერდინანდს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ „ლიდსი" „მანჩესტერზე" გაცვალა, არამედ იმიტომაც, რომ მისი მოუშარდავობა დაიხვიეს ხელზე.

„რიო ფანტასტიკური იყო" — მოკლედ მოჭრა ფერგიუსონმა, თუმცა მეორე დილით ემცხეთებოდა გაზეთებში მონიშნული ამბავი, აბრამოვიჩი რიო ფერდინანდში 20 მილიონს გამოდისო.

ამასობაში კი ვიცით, რომ არის არცთუ დიდი ქალაქი პორტსმუთი, რომელსაც არცთუ ურიგო გუნდი ჰყავს. ამ გუნდში ბევრია ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც ადრე ვარსკვლავი ერქვა, მაგრამ თავიანთ გუნდებში არ ათამაშებდნენ. ახლა ეს კაცები ზღვისპირა ქალაქის პატარა გუნდში არიან და ბევრს ამწარებენ. ტედი შერინგემმა მოედნის გასწვრივ საუცხოო პასი გადაუკიდა სებასტიან შემელს, იმან საჯარიმოსკენ გაუსვა, იქ კი პატრიკ ბერგერმა ივაჟკაცა და განსაკუთრებით გაიხარა, რადგან თავის ვერდამფასებელ „ლივერპულს" გაუტანა, როგორც გაირკვა გამარჯვების

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 9 | 7 | 2 | 0 | 18:7 | 11 | 23 | 5 | 4 | 1 | 0 | 10:5 | 5 | 13 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 6 | 10 |
| 2 მანჩესტერი | 9 | 7 | 1 | 1 | 17:3 | 14 | 22 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:0 | 8 | 10 | 5 | 4 | 0 | 1 | 9:3 | 6 | 12 |
| 3 ჩელსი | 9 | 6 | 2 | 1 | 19:9 | 10 | 20 | 4 | 3 | 1 | 0 | 9:5 | 4 | 10 | 5 | 3 | 1 | 1 | 10:4 | 6 | 10 |
| 4 ბირმინგემი | 9 | 4 | 4 | 1 | 8:5 | 3 | 16 | 5 | 2 | 3 | 0 | 5:2 | 3 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 7 |
| 5 სიტი | 9 | 4 | 3 | 2 | 20:11 | 9 | 15 | 5 | 2 | 2 | 1 | 12:6 | 6 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 3 | 7 |
| 6 ფულემი | 8 | 4 | 3 | 1 | 15:9 | 6 | 15 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:4 | 3 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 3 | 7 |
| 7 საუთჰემპტონი | 9 | 3 | 4 | 2 | 8:5 | 3 | 13 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:1 | 2 | 7 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:4 | 1 | 6 |
| 8 პორტსმუთი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:9 | 2 | 12 | 5 | 3 | 0 | 2 | 9:5 | 4 | 9 | 4 | 0 | 3 | 1 | 2:4 | -2 | 3 |
| 9 ლივერპული | 9 | 3 | 2 | 4 | 12:10 | 2 | 11 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 4 | 5 | 2 | 1 | 2 | 8:5 | 3 | 7 |
| 10 ჩარლტონი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:12 | 0 | 11 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | -4 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 4 | 7 |
| 11 ტოტენჰემი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:13 | -3 | 11 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:7 | -1 | 6 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 5 |
| 12 ნიუკასლი | 8 | 2 | 3 | 3 | 9:10 | -1 | 9 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:3 | -1 | 4 | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 0 | 5 |
| 13 ევერტონი | 9 | 2 | 3 | 4 | 12:14 | -2 | 9 | 5 | 2 | 2 | 1 | 9:6 | 3 | 8 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | -5 | 1 |
| 14 ასტონ ვილა | 9 | 2 | 3 | 4 | 8:12 | -4 | 9 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 3 | 8 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:9 | -7 | 1 |
| 15 ბლექბერნი | 8 | 2 | 2 | 4 | 15:16 | -1 | 8 | 4 | 1 | 0 | 3 | 8:9 | -1 | 3 | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 0 | 5 |
| 16 ლიდსი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:18 | -10 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:12 | -8 | 3 |
| 17 ბოლტონი | 9 | 1 | 5 | 3 | 8:18 | -10 | 8 | 4 | 1 | 3 | 0 | 5:3 | 2 | 6 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:15 | -12 | 2 |
| 18 მიდლსბრო | 9 | 2 | 1 | 6 | 7:15 | -8 | 7 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:10 | -6 | 3 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 |
| 19 ვულვზი | 9 | 1 | 3 | 5 | 3:18 | -15 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 1:9 | -8 | 4 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:9 | -7 | 2 |
| 20 ლესტერი | 9 | 1 | 2 | 6 | 11:17 | -6 | 5 | 5 | 1 | 2 | 2 | 8:8 | 0 | 5 | 4 | 0 | 0 | 4 | 3:9 | -6 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვან ნისტელროოი (მანჩესტერ იუნ.) | 8 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 8 |
| ოუენი (ლივერპული) | 7 |
| ანრი (არსენალი) | 7 |
| ბიტი (საუთჰემპტონი) | 6 |
| შირერი (ნიუკასლი) | 6 |
| შერინგემი (პორტსმუთი) | 6 |

**X ტური**

25 ოქტომბერი

ასტონ ვილა — ევერტონი
ბოლტონი — ბირმინგემი
ჩარლტონი — არსენალი
ჩელსი — სიტი
ლივერპული — ლიდსი
მანჩესტერი — ფულემი
ნიუკასლი — პორტსმუთი
საუთჰემპტონი — ბლექბერნი
ტოტენჰემი — მიდლსბრო
ვულვზი — ლესტერი

გოლი. იგორ ბისკანმა საერთოდაც საკუთარი კარის ძელი დააზანზარა მოუზომავი თავურით. ემილ ჰესკის იქეთ კარშიც შეეძლო გატანა, მაგრამ ასე რომ დავთვალოთ, იაკუბუმაც დაუზანზარა ძელი მერსისაიდელებს.

ეს მარცხი „ლივერპულისთვის" ოჰ-ოჰ-ოჰ, მერამდენე იყო ზედიზედ და რაც მთავარია, უკვე აშკარაა, ჟერარ ულიეს გუნდს უკვე აღარავინ უფრთხის, მას ტოლსწორივით ეთამაშებიან, ხოლო ფრანგი მენეჯერი კი თავს ასე იმართლებს: „ნახევარი გუნდი დამტვრეული გვყავს. აბა, ითამაშეთ დენი მერფისა და ოუენის გარეშე". ულიემ თავისი ყრმა ვარსკვლავები, ლე ტალეკი და სინიმა შეუშვა მოედანზე და აი, მათაც კვალი დაამჩნიეს თამაშს, თუმცა, ანგარიში ვერ შეცვალეს.

ყველამ იცის, რას მოიმოქმედებს ხოლმე კევინ კიგანის გუნდი, როცა ხასიათი და შესაძლებლობა ერთმანეთს დაემთხვევა. შაბათის „სიტი" ასეთი იყო: „ბოლტონს" ექვსჯერ გაუტანა და მხოლოდ ორი გაუშვა. შონ რაიტ ფილიპსი ისეთი მოწადინებული იყო, რომ თავის გოლებთან ერთად წითელი ბარათიც მიითვალა, ნიკოლა ანელკა კი ჩვეულად პროფესორობდა და ბრწყინვალედაც გამოდიოდა.

ეს უქმეები ორი „დერბისა" იყო: ჩრდილოაღმოსავლურში ნიუკასლმა სტუმრად სძლია „ბოროს" შოლა ამეობის დიდ არეულობაში გატანილი გოლის წყალობით, „ასტონ ვილამ" კი უგოლო ფრეს მიაღწია „ბირმინგემ სიტისთან" შარშან განცდილი ორი სამარცხვინო მარცხის შემდეგ. ვილელთა განაცხადშიც კი არ იყო თურქი ალფაი, რომელსაც გუნდმა შევბულება მისცა ერთი კვირის წინანდელი ამბების კვალად, ვინაიდან „ბირმინგემის" გულშემატკივრებმა ალფაის ჩამომხრჩვალი ფიტულები გამოჰკიდეს ქალაქში და საერთოდაც, „ვილა" ცდილობს, რომ ინგლისელთა მაგინებელი 30 წლის თურქი თავიდან მოიშოროს.

უგოლო იყო „ევერტონ" — „საუთჰემპტონის" შეხვედრაც და უგოლო ფრეს მიაღწია „ფულემთან" მატჩში „ვულვზმაც", რომელიც ბოლოში კია, მაგრამ მეოთხე ტურია, აღარ აგებს.

დევიდ პლიტის ხელში კი წაუგებელია „ტოტენჰემი", რომელმაც „ლესტერში" ბოლო წუთზე იმარჯვა ფრედი კანოს წამატებულით, თუმცა თავიდან აგებდა. „ლესტერის" კარში იდგა „ტოტენჰემის" ყოფილი მეკარე უოკერი. ლონდონელთა კარში კი ლესტერელთა ყოფილი მეკარე კელერი. ამ უკანასკნელმა მართლაც ძალიან მაგრად ითამაშა, თუმც კი თავიდან მაინც გაუშვა პოლ დიკოვის დარტყმული. „ტოტენჰემში" პირველად გამოჩნდა მბულელო მაბიზელა. ჰოდა, სწორედ მან გაათანაბრა ანგარიში.

ამებს მხოლოდ იმას თუ დავუმატებთ, რომ რაც პრემიერლიგა არსებობს, „ჩელსის" „ჰაიბერიზე" ვერ მოუგია, ხოლო შაბათამდე „პორტსმუთს" „ლივერპულისთვის" მოეგო მხოლოდ 43 წლის წინ, ანუ მჟავანაძის დროს, ანუ გაგარინის კოსმოსში გაფრენამდე ერთი წლით ადრე.

დაუმარცხებელი მხოლოდ „არსენალი" დარჩა.

**ირაკლი გამყრელიძე**
***ლონდონიდან***

## პირველი დივიზიონი
### XV ტური

**ქოვენთრი 1:3 კარდიფი**
1:0 დოილი (11), 1:1 უოლი (28), 1:2 გორდონი (32), 1:3 ერნშოუ (40პ)

**ქრიუ 3:0 დერბი ქაუნთი**
1:0 ბაროუმენი (10), 2:0 ეშტონი (24), 3:0 რიქსი (78)

**კრ. პალასი 1:1 როტერჰემი**
0:1 სვეილზი (32), 1:1 ფრიდმენი (57)

**იფსვიჩი 1:0 სტოკი**
1:0 რიჩარდსი (43)

**მილუოლი 2:0 შეფილდ იუნ.**
1:0 ჰარისი (63), 2:0 აიფილი (66)

**ნოტინგემი 6:0 უიმბლდონი**
1:0, 2:0 ჰერვუდი (24, 37), 3:0 რიდი (45), 4:0 ტეილორი (63), 5:0 დოუსონი (65), 6:0 მორგანი (81)

**რედინგი 3:2 პრესტონი**
0:1 ფულერი (20), 1:1 გოტერი (39), 1:2 ალექსანდერი (53პ), 2:2 მაკი (82), 3:2 ფორსტერი (90)

**სანდერლენდი 1:0 უოლსოლი**
1:0 სტიუარტი (42)

**უოტფორდი 1:0 ბრედფორდი**
1:0 ფიცჯერალდი (61)

**ვესტ ბრომვიჩი 1:0 ნორვიჩი**
1:0 კუმასი (35)

**ვესტ ჰემი 2:2 ბარნლი**
1:0 კონოლი (20), 1:1 ფეისი (38), 1:2 მური (82), 2:2 პათჩისონი (86)

**უიგანი 1:0 ჯილინგემი**
1:0 ლიდელი (55)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უიგანი | 14 | 8 | 5 | 1 | 20:10 | 29 |
| ვესტ ბრომვიჩი | 13 | 9 | 1 | 3 | 20:12 | 28 |
| შეფილდი | 13 | 8 | 2 | 3 | 22:13 | 26 |
| სანდერლენდი | 13 | 8 | 2 | 3 | 19:10 | 26 |
| ვესტ ჰემი | 13 | 7 | 4 | 2 | 17:9 | 25 |
| იფსვიჩი | 14 | 7 | 2 | 5 | 24:18 | 23 |
| მილუოლი | 15 | 6 | 5 | 4 | 19:15 | 23 |
| ნორვიჩი | 13 | 6 | 4 | 3 | 18:14 | 22 |
| რედინგი | 13 | 6 | 3 | 4 | 21:16 | 21 |
| ნოტინგემი | 13 | 6 | 2 | 5 | 25:16 | 20 |
| კარდიფი | 13 | 5 | 4 | 4 | 23:15 | 19 |
| პრესტონი | 13 | 6 | 1 | 6 | 18:16 | 19 |
| ბარნლი | 14 | 5 | 3 | 6 | 22:27 | 18 |
| ქრიუ | 13 | 5 | 2 | 6 | 14:17 | 17 |
| კრ. პალასი | 13 | 4 | 4 | 5 | 17:19 | 16 |
| ქოვენთრი | 12 | 4 | 3 | 5 | 17:19 | 15 |
| სტოკი | 14 | 4 | 3 | 7 | 16:19 | 15 |
| დერბი | 14 | 3 | 5 | 6 | 14:23 | 14 |
| უოლსოლი | 13 | 3 | 4 | 6 | 14:16 | 13 |
| ჯილინგემი | 14 | 3 | 4 | 7 | 13:23 | 13 |
| უოტფორდი | 12 | 3 | 3 | 6 | 12:15 | 12 |
| ბრედფორდი | 14 | 3 | 3 | 8 | 13:23 | 12 |
| როტერჰემი | 14 | 2 | 6 | 6 | 10:22 | 12 |
| უიმბლდონი | 13 | 1 | 1 | 11 | 13:34 | 4 |

## მეორე დივიზიონი

მე-14 ტური: ბლეკპული — ჰარტლპული 4:0; ბორნმუთი — ბრაიტონი 1:0; ბრენტფორდი — ლუტონი 4:2; ჩესტერფილდი — სუინდონი 3:0; გრიმსვი — კოლჩესტერი 2:0; შეფილდ უენსდი — რაშდენი 0:0; სტოკპორტი — ნოტსი 2:2; ტრანმერი — ოლდემი 2:1; რექსემი — ბრისტოლი 0:0; უიკომბი — ბარნსლი 1:2; პიტერბრო — ქუინზ პარკი 0:0; პორტ ვეილი — პლიმუთი 1:5

## მესამე დივიზიონი

მე-14 ტური: ნორთჰემპტონი — სკანთორპი 1:1; როვერსი — კემბრიჯი 0:2; ბერი — ოქსფორდი 0:4; კარლაილი — მაკლსფილდი 0:1; ჩელტენემი — როჩდეილი 0:2; დონკასტერი — მენსფილდი 4:2; ლინკოლნი — ჰადერსფილდი 3:1; საუთენდი — ლეიტონი 1:2; სუონსი — კიდერმინსტერი 0:0; ტორკი — ჰალი 1:1; იოვილი — დარლინგტონი 1:0; იორკი — ბოსტონი 1:1

## კონფერენსლიგა

მე-15 ტური: აკრინგტონი — ექსეტერი 1:2; ჩესტერი — ჰერეფორდი 0:0; დაგენემი — ბარტონი 0:2; ფარნბორო — ტელფორდი 2:1; ფორესტ გრინი — სტივენეიჯი 3:1; ლეიფი — ბარნეტი 1:4; ნორსვიჩი — გრეივსენდი 0:0; სკარბორო — მარგეიტი 0:1; შრიუსბერი — მორეკემბი 2:0; ტემუორთი — ალდერშოტი 3:3; უოქინგი — ჰალიფაქსი 2:2

# მოსწავლე მასწავლებელს ოთხშაბათს სულ სხვა ბიჭი ჰყავს



სერ ალექს ფერგიუსონმა (მარჯვნივ) ალექს მაკლიშის „რეინჯერსი" დაზვერა

## შოტლანდია
### პრემიერლიგა. IX ტური

**მოზერუელი 1:1 რეინჯერსი**
0:1 არველაძე (15), 1:1 პირსონი (25)
რეინჯერსი: კლოსი, ბერგი, ხიზანიშვილი, მური, რიკსენი (ნუნუ კაპუშუ 79), არტეტა, ემერსონი (ვანოლი 66), ბოლი, ლოვენკრანდსი (ოსტენსტადი 69), არველაძე, მოლსი
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
გაფრთხილება: რიკსენი, ხიზანიშვილი, მური
10 824 მაყურებელი

**დანდი 1:0 პარტიკი**
1:0 ნოვო (53)
დანდი: სპერონი, მაკეი, უილკი, სმიტი, ფერნანდესი, რაე (კოვენი 90), ნემსაძე, ბრედი, ნოვო, რავანელი (სარა 80), კაბალიერო (ლინი 85)
მწვრთნელი: ჯიმ დაფი
6 497 მაყურებელი

**აბერდინი 0:1 დანდი იუნ.**
0:1 მაკლარენი (11)

**სელტიკი 5:0 ჰარტსი**
1:0 მილერი (9), 2:0 სტამპი (12ს.კ.), 3:0 ლარსონი (36), 4:0 ვარგა (42), 5:0 მილერი (50)

**დანფერმლაინი 2:3 კილმარნოკი**
0:1 მაკსვიგანი (24), 1:1, 2:1 კროუფორდი (28, 55), 2:2 მაკსვიგანი (84)

**ჰიბერნიანი 0:2 ლივინგსტონი**
0:1, 0:2 ლილეი (38, 83)

„მანჩესტერ იუნაიტედის" შოტლანდიელი თავკაცი სერ ალექს ფერგიუსონი საგანგებოდ გაემგზავრა სამშობლოში, რათა „მოზერუელ" — „რეინჯერსის" მატჩი ეხილა — ფერგიუსონი ხვალაც შოტლანდიაში იქნება, გლაზგოში, სადაც მისი „მანჩესტერი" ჩემპიონთა ლიგის მესამე ტურში „რეინჯერსს" ესტუმრება.

როცა 80-იან წლებში ფერგიუსონი „აბერდინს" წვრთნიდა, „რეინჯერსის" მენეჯერი ალექს მაკლიში მაშინ მისი ფეხბურთელი იყო. ჰოდა, ბრიტანულ პრესაში „რეინჯერს" — „მანჩესტერის" დაპირისპირებაზე ახლა საკმაოდ ბევრს ყბედობენ. სხვა რომ არაფერი, ეს შოტლანდია — ინგლისის დაპირისპირებაცაა.

თუმც „მოზერუელ" — „რეინჯერსს" დავუბრუნდეთ. ზურაბ ხიზანიშვილმა კარგი პასი გაუჭრა შოთა არველაძეს, რომელმაც დაახლოებით ექვსი მეტრიდან ბურთი თავზე გადაუგდო „მოზერუელის" მეკარე გორდონ მარშალს. მასპინძლებმა ორ წუთში გაათანაბრეს, რასაც „რეინჯერსის" ცენტრალურ მცველებს ჰენინგ ბერგსა და კრეიგ მურს უნდა „უმადლოდნენ". შეხვედრა თანაბარ თამაშში გაილია, თუმც დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე „მოზერუელის" შემტევმა დევიდ კლარსონმა შტეფან კლოსის კარს ძელი მოუსინჯა. ეს ფერგიუსონს აღარ უნახავს, მან მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე დატოვა „ფირ პარკის" სტადიონი.

ალექს მაკლიში: „ვფიქრობ, ფერგიუსონი ჩვენს იოლ დამარცხებას ელის, მაგრამ ოთხშაბათს სულ სხვა თამაში იქნება". რეინჯერსელთა ცუდი თამაში ცენტრალური მცველების გარდა მიხაელ მოლსის მიერ ოთხ გაცუდებულ საგოლე მომენტსაც დაბრალდა, თუმც მაკლიშმა კონკრეტული მოთამაშეები არ დაადანაშაულა — მური ახლადგამოჯანმრთელებულია, ხოლო ბერგს რამდენიმე დღე არ უვარჯიშია, რადგან ვაჟიშვილი შეეძინა.

წარმატებული გამოდგა ფაბრიციო რავანელის დებიუტი „დანდიში". ნაჩო ნოვომ გოლი სწორედ მცხოვანი იტალიელის პასით გაიტანა. რავანელის გადაცემით ნოვოს კიდევ ორჯერ უნდა გაეტანა, მაგრამ „პარტიკის" მეკარემ კენი არტურმა თავი მოაგიჟიანა.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 9 | 8 | 1 | 0 | 24:3 | 25 |
| რეინჯერსი | 9 | 7 | 1 | 1 | 27:8 | 22 |
| დანდი | 9 | 4 | 2 | 3 | 12:10 | 14 |
| ჰარტსი | 9 | 4 | 2 | 3 | 11:13 | 14 |
| ლივინგსტონი | 9 | 3 | 3 | 3 | 10:10 | 12 |
| მოზერუელი | 9 | 3 | 3 | 3 | 10:12 | 12 |
| დანფერმლაინი | 9 | 3 | 3 | 3 | 8:10 | 12 |
| ჰიბერნიანი | 9 | 3 | 2 | 4 | 8:13 | 11 |
| კილმარნოკი | 9 | 3 | 2 | 4 | 11:17 | 11 |
| დანდი იუნ. | 9 | 2 | 2 | 5 | 6:16 | 8 |
| აბერდინი | 9 | 2 | 1 | 6 | 9:16 | 7 |
| პარტიკ თისლი | 9 | 0 | 2 | 7 | 7:15 | 2 |

### I დივიზიონი

მე-9 ტური: ეარი — სენტ მირენი 0:2; ფოლკირკი — ბრეჩინი 3:0; ქუინი — ინვერნესი 3:2; რეითი — კლაიდი 0:1; როსი — სენტ ჯონსტონი 0:3

### II დივიზიონი

მე-9 ტური: ერდრი — სტენჰაუზმური 2:0; ალოა — მორტონი 0:1; არბროთი — ისტ ფაიფი 0:1; ბერვიკი — ფორფარი 0:4; დამბარტონი — ჰამილტონი 0:3

### III დივიზიონი

მე-9 ტური: ისტ სტირლინგი — გრეტნა 0:1; ელგინი — ალბიონი 1:5; მონტროუზი — სტირლინგი 2:3; პიტერჰედი — კოუდენბითი 0:1; სტრანრარი — ქუინზ პარკი 1:0

## ჰოლანდია
### I დივიზიონი. VIII ტური

**ნაიმეგენი 0:3 ბრედა**
0:1 ს. ზეედორფი (4), 0:2 ელმანვერი (7), 0:3 ენგელაარი (64პ)

**როდა 1:1 ფეიენოორდი**
0:1 კუიტი (3), 1:1 სერხიო (34)

**ტვენტე 5:3 გრონინგენი**
1:0 ჯონი (2), 2:0 ნკუფო (29), 3:0 ჯონი (38), 3:1 ტუპუტერუ (41), 3:2 პინასი (44), 4:2 ჯონი (76), 5:2 ვან დერ ვეერდენი (82), 5:3 სალმონი (89)

**უტრეხტი 0:3 ალკმაარი**
0:1, 0:2 ელხატაბი (2, 4), 0:3 კ. პერესი (5)

**ზვოლე 1:2 დენ ჰააგი**
0:1 ჰოფსტედე (11), 1:1 ხრისტოვი (45), 1:2 ჰოფსტედე (74)

**პსვ ეინდჰოვენი 2:0 ჰერენვენი**
1:0 რობენი (40), 2:0 კეჟმანი (80)

**როზენდალი 0:0 ტილბურგი**

**ვალვაიკი 2:2 ვიტესი**
1:0 რედანი (11), 1:1, 1:2 როიერი (76, 79), 2:2 ოოსტი (81)

**აიაქსი 5:1 ვოლენდამი**
1:0 სონკი (5), 1:1 ესაიასი (13), 2:1, 3:1 ვან დერ ვაარტი (32, 38), 4:1 მიტია (78), 5:1 ტრაბელსი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 8 | 7 | 0 | 1 | 24:8 | 21 |
| პსვ | 8 | 6 | 1 | 1 | 21:6 | 19 |
| ალკმაარი | 8 | 6 | 1 | 1 | 16:5 | 19 |
| ჰერენვენი | 8 | 5 | 0 | 3 | 8:7 | 15 |
| ფეიენოორდი | 8 | 4 | 2 | 2 | 13:9 | 14 |
| ვალვაიკი | 8 | 4 | 1 | 3 | 13:9 | 13 |
| ტვენტე | 8 | 4 | 0 | 4 | 16:18 | 12 |
| როდა | 8 | 2 | 5 | 1 | 9:7 | 11 |
| ტილბურგი | 8 | 3 | 2 | 3 | 7:16 | 11 |
| ბრედა | 8 | 3 | 1 | 4 | 12:10 | 10 |
| როზენდალი | 8 | 2 | 3 | 3 | 7:9 | 9 |
| ნაიმეგენი | 8 | 3 | 0 | 5 | 9:15 | 9 |
| გრონინგენი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:13 | 8 |
| უტრეხტი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:12 | 8 |
| დენ ჰააგი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:13 | 8 |
| ვიტესი | 8 | 1 | 3 | 4 | 12:16 | 6 |
| ვოლენდამი | 8 | 1 | 3 | 4 | 10:16 | 6 |
| ზვოლე | 8 | 0 | 2 | 6 | 4:14 | 2 |

### II დივიზიონი

მე-11 ტური: ოსი — ვეენდამი 1:3; აპელდორნი — დენ ბოსხი 1:2; ტელსტარი — გრააფსხაპი 2:0; ჰერაკლესი — კამბური 1:1; დორდრეხტი — სიტარდი 0:1; იგლსი — ჰელმონდი 1:4; ვენლო — ჰაარლემი 1:0; ემენი — სპარტა 1:1; ეინდჰოვენი — მაასტრიხტი 3:0

## ბელგია
### იუპილერლიგა. IX ტური

**შარლერუა 0:1 ანდერლეხტი**
0:1 დინდანე (10)

**ბრიუგე 4:0 ვესტერლო**
1:0, 2:0 ლანგე (5, 26), 3:0 მენდოსა (31), 4:0 ბ. მარტენსი (80)

**ბეერსხოტი 2:1 ბევერენი**
1:0 სნელდერსი (45), 1:1 ნე (75), 2:1 სნელდერსი (78)

**ლოკერენი 3:0 ჰეუსდენი**
1:0 კრისტიანსონი (5), 2:0, 3:0 ბანჯე (45, 5[illegible])

**მონსი 1:0 ანტვერპენი**
1:0 მუნარი (52)

**მუსკრონი 2:1 სენტ ტრუიდენი**
1:0 მ. მპენზა (30), 2:0 გრეგორი (63), 2:1 ვრანკენი (71)

**სტანდარდი 2:0 გენტი**
1:0 ე. მპენზა (45), 2:0 ენაკარირი (56)

**გენკი 3:1 სერკლ ბრიუგე**
1:0 რუსელი (19), 2:0, 3:0 ტიისი (26, 85), 3:1 ყბარი (88)

**ლიერსი 1:1 ლუვიე**
0:1 ტილმანი (64), 1:1 შასენსი (67)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 9 | 8 | 1 | 0 | 27:6 | 25 |
| გენკი | 9 | 6 | 2 | 1 | 19:8 | 20 |
| ბრიუგე | 9 | 5 | 3 | 1 | 21:8 | 18 |
| მუსკრონი | 9 | 4 | 4 | 1 | 16:10 | 16 |
| სტანდარდი | 9 | 5 | 1 | 3 | 14:8 | 16 |
| ბეერსხოტი | 9 | 3 | 4 | 2 | 9:6 | 13 |
| გენტი | 9 | 3 | 4 | 2 | 13:11 | 13 |
| ლიერსი | 9 | 3 | 4 | 2 | 11:10 | 13 |
| სენტ ტრუიდენი | 9 | 3 | 4 | 2 | 10:9 | 13 |
| ლუვიე | 9 | 2 | 6 | 1 | 10:7 | 12 |
| ვესტერლო | 9 | 3 | 3 | 3 | 12:16 | 12 |
| სერკლი | 9 | 2 | 4 | 3 | 4:9 | 10 |
| ბევერენი | 9 | 3 | 0 | 6 | 11:18 | 9 |
| მონსი | 9 | 1 | 5 | 3 | 7:13 | 8 |
| ანტვერპენი | 9 | 2 | 1 | 6 | 4:19 | 7 |
| ლოკერენი | 9 | 1 | 2 | 6 | 8:18 | 5 |
| შარლერუა | 9 | 0 | 4 | 5 | 2:8 | 4 |
| ჰეუსდენი | 9 | 0 | 2 | 7 | 2:16 | 2 |

### მეორე დივიზიონი

მე-10 ტური: ეუპენი — ვარეგემი 1:4; სტრომბეკი — ოსტენდე 2:2; ტუბიცე — რუზელარე 0:2; გეელი — აალსტი 1:1; დაინცე — დესელი 0:1; დენდერლეუ — პატრო 1:1; ინგელმუნსტერი — ვირტონი 3:1; ტინენი — ეიზეტი 1:2

## გერმანია

### ბუნდესლიგა. IX ტური

**შალკე 0:2 ბოხუმი**

0:1 ფარენჰორსტი (65), 0:2 დიაბანგი (78)
შალკე: ფ. როსტი, ჰაიტო, ვალდოხი, მატელანი, კობიაშვილი, კ. პოულსენი, როდრიგესი, პინტუ, ზაიცი (სანდი 46), ასამოა (ტროიანი 78), აგალი (ჰანკე 70)
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა, ფარენჰორსტი, ბიონიგი (ბემბენი 74), ცდებელი, ოლისე, ვოში (სტევიჩი 60), ჰაშემიანი, ბაკლი (დიაბანგი 60), პ. მადსენი
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: აგალი, ჰაიტო, როდრიგესი, კალა, ჰაშემიანი
მსაჯი: ვაგნერი
61 178 მაყურებელი

**კიოლნი 1:0 ფრაიბურგი**

1:0 დოგანი (70)
კიოლნი: ვესელსი, დოგანი, ჩიკონი, სინკოვიჩი, შპრინგერი, შროიდერი (ფედერიკო 66), პაინრიხი (ვოიგტი 75), ლოტნერი (კრინგე 85), ჰელბიგი, შერცი, ებერსი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, ბ. დიარა, რაიტერი, კრუპკე (გუიე-მიენი 85), ბაირამოვიჩი, ა. ცაიერი (ბერნერი 81), ცქიტიშვილი, კულიბალი, იაშვილი, სანუ (კაირო 38)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: ჰელბიგი, ბაირამოვიჩი, კრუპკე
მსაჯი: ვაკი
33 000 მაყურებელი

**ვერდერი 1:3 შტუტგარტი**

0:1 საბიჩი (31), 0:2 კურანი (34), 1:2 ხარისტიასი (60), 1:3 ტიფერტი (90)
*გლებმა ვერ გაიტანა პენალტი (45, მეკარე)*
ვერდერი: რაინკე, დავალა უმითი (დაუნი 76), ისმაელი, კრსტაიჩი, სტალტერი (ხარისტიასი 59), ფ. ბაუმანი, ფ. ერნსტი, ლისტეში, მიკუ, აილტონი (ჰაედო 68), კლასნიჩი
მწვრთნელი: თომას შააფი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ბორდონი, ჰ. ბერბერი, სოლდო (მაისნერი 46), ვრანიეში, გლები, ჰელდტი (ტიფერტი 71), კურანი, საბიჩი (ჰუსტერერი 90)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: დავალა უმითი, მიკუ, ერნსტი, ბორდონი, კრსტაიჩი, ვრანიეში, კურანი
გაძევება: ბორდონი (89)
მსაჯი: კინჰოფერი
41 100 მაყურებელი

**ჰერტა 1:4 ლევერკუზენი**

0:1 ფრანცა (11), 1:1 ბობიჩი (47), 1:2 ბერბატოვი (54), 1:3 შნაიდერი (72), 1:4 ბაბიჩი (86)
ჰერტა: კირალი, რემერი, ვან ბურიკი (მადლუნგი 46), შიმუნიჩი, ფრიდრიხი (ლაპაჩინსკი 31), დარდაი, ჰარტმანი, გოორი, მარსელინიო (ლუდვიგი 73), ბობიჩი, ვიშნიარეკი
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ჟუანი, ლუსიო (ბალიტჩი 65), ნოვოტნი, პლასენტე, რამელო, ბ. შნაიდერი, ბიროფკა (ბაბიჩი 69), პონტე (ბაშთურქი 80), ფრანცა, ბერბატოვი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: ვან ბურიკი, დარდაი, გოორი, მარსელინიო, ბაბიჩი
გაძევება: ლაპაჩინსკი (51), პლასენტე (63)
მსაჯი: მერკი
36 638 მაყურებელი

**დორტმუნდი 6:2 ჰანოვერი**

1:0 ევერტონი (35), 2:0 რიკენი (42), 3:0 კელი (57), 3:1 ვინიციუსი (58), 4:1 კოლერი (65), 5:1 ევერტონი (76), 6:1 კოლერი (77), 6:2 ვოლფი (85)

# რიკენშოუ

## სველი ტიმო და მწველი ლევერკუზენი



დორტმუნდი — ჰანოვერი. ლარს რიკენმა ექვსიდან ერთი გაიტანა, მაგრამ დორტმუნდელთა გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო

REUTERS დორტმუნდიდან

დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ხ. ფერნანდესი, ვიორნსი, ბერგდოლმო, ნ. იენსენი, შ. როიტერი, კელი, რიკენი (ოდონკორი 73), დედე, კოლერი (სენესიე 77), ევერტონი (ჯ. რეინა 83)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ჰანოვერი: ციგლერი, ჩერუნდოლო, კონსტანტინიდისი, ვინიციუსი, კლებერი, დაბროვსკი (შტენდელი 66), ლალა, კრუპნიკოვიჩი, სტაინერი (ვოლფი 66), იდრისუ, კრისტიანსენი (ზურავი 80)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: იენსენი, კრისტიანსენი, ჩერუნდოლო
მსაჯი: ფანდელი
80 500 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 0:0 ბაიერნი**

მიონხენგლადბახი: შტილი, კორზინეცი, ასანინი, შტრასერი, ოჟიგვე (ობრადოვიჩი 63), გაედე, ულიხი, დემო (ვან ჰუტი 78), კოლკა, სვერკოში (აიდოო 70), ვან ლენტი
მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი
ბაიერნი: კანი, სალიჰამიჯიჩი (ლელი 46), კუფური, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, დემიკელისი, იერემისი (ტროხოვსკი 46), დაისლერი, ბალაკი, მაკაი (სანტა კრუზი 75), კ. პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: შტრასერი, სალიჰამიჯიჩი
მსაჯი: კირხერი
34 500 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 3:1 ჰანზა**

1:0 კლიმოვიჩი (31), 2:0 ბაიანო (39), 2:1 რიდლევიჩი (42), 3:1 ბაიანო (67)
ვოლფსბურგი: იენჩი, ფრანცი, ბილიშკოვი, ტიამი, შნოორი, ვაიზერი, კარჰანი, დალესანდრო, მენსეგეში (შარპეი 78), ბაიანო (ტოპიჩი 86), კლიმოვიჩი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
ჰანზა: შობერი, ვიმერი (ტიკუზუ 74), კინცი, ჰილი, მელკამი, რიდლევიჩი (პრიკა 72), ლანცი, პერსონი, შულცი (დი სალვო 84), მაქსი, პლასნეგერი
მწვრთნელი: თომას შლიუნცი
გაფრთხილება: ბაიანო, ბილიშკოვი, კინცი, პლასნეგერი
გაძევება: პლასნეგერი (81)
მსაჯი: ალბრეხტი
19 846 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 4:0 ჰამბურგი**

1:0 მეტომო (37), 2:0 კლოზე (62პ), 3:0 ტიმი (74), 4:0 კლოზე (76)
კაიზერსლაუტერნი: ვიზე, გრამოცისი, ლემბი, მეტომო, ჩატო, ჰენგენი, დომინგეში (ბიელიცა 82), კოსოვსკი (ტიმი 63), ანფანგი (რიდლი 84), კლოზე, ლოკვენცი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, იაკობსენი, უიფალუში, რაინჰარდტი, ჰოლერბახი, მალტრიცი (ტაკაჰარა 55), შლიკე, იაროლიმი, მაჰდავიკია, ბარბარესი, რომეო
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: ანფანგი, ლემბი, რიდლი, ჰოლერბახი, რაინჰარდტი
მსაჯი: ფროილიხი
38 016 მაყურებელი



ჰუუბ სტევენსმა საქმე ისე წაიყვანა, ბერლინიდან გაქცევა მოუწევს

REUTERS ბერლინიდან

**მიუნხენი 1:0 აინტრახტი**

1:0 ლაუტი (90პ)
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, შტრანცლი (კიოიო 73), ტ. ჰოფმანი, როდრიგო კოშტა, საარინენი (ტისი 46), შვარცი, გიორლიცი, პიურკი (ბაიერი 44), ვაისენბერგერი, შროტი, ლაუტი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
აინტრახტი: ნიკოლოვი, ბინდევალდი, პულიზი (ვაისენფელდტი 61), ჩიპი, ვიდენერი, გიუნტერი, ჰენინგი, ლექსა, კროიცი, მიოლერი (პროისი 73), ჩა (ბაიერლე 83)
მწვრთნელი: ვილი რაიმანი
გაფრთხილება: როდრიგო კოშტა, ლაუტი, შვარცი, ტ. ჰოფმანი, ჰენინგი, ვაისენფელდტი
მსაჯი: გაგელმანი
26 000 მაყურებელი

ვინლა ჩივის იმას, რომ „შტუტგარტი" მიმდინარე ბუნდესლიგაში დაუმარცხებელია — ფელიქს მაგათის გუნდს, როგორც იქნა, გოლი გაუტანეს, ტიმო ჰილდებრანდს ბურთი კარიდან გამოატანინეს და ეს ანგელოს ხარისტიასმა შეძლო, თუმცა ამით თავის გუნდს ვერაფერით შეეწია — ბრემენის „ვერდერს" დიდი ანგარიშითაც უნდა წაეგო ალექსანდრ გლებს 11-მეტრიანი რომ გაეტანა.

დედაქალაქში გადავინაცვლოთ. ბერლინის „ჰერტას" ჰოლანდიელი მწვრთნელი ჰუუბ სტევენსი შესაძლოა დაითხოვონ — ამას „ლევერკუზენთან" მატჩის წინაც იძახდნენ, ახლა კი ამბობენ, სტევენსი თუ გაუშვეს, კლუბის მენეჯერ დიტერ ჰიონესსაც თან გააყოლებენო. „ჰერტას" ერთადერთი ნათელი წერტილი ფრედი ბობიჩია, რომელიც დღესდღეობით საუკეთესო გერმანელ ფორვარდად ითვლება. კლაუს აუგენტალერმა კი „ლევერკუზენს" შარშანწინდელი პეწი და ლაზათი დაუბრუნა.

კარგა ხანია, „ხუმარებს" ასეთი სერიოზული ჩავარდნა არ ჰქონიათ — „შალკეს" მარცხი გელზენკირხენში ძალიან მოულოდნელი გახლდათ. უნიათოა და ქანჩმოშვებულ მექანიზმს წააგავს იუპ ჰაინკესის „შალკე", მდინარე რურის ხეობის გუნდთა პაექრობა „ბოხუმის" დამსახურებული გამარჯვებით დასრულდა — სტუმრებმა მეორე ტაიმში გაილაღეს.

ბოლო დროს თამაში და გოლების გატანა წაუვიდა მიროსლავ კლოზეს. შარშანდელ მუნდიალზე ამობრწყინებული მიროსლავი ნელ-ნელა ამტკიცებს, რომ ის ფსევდოვარსკვლავი არ არის, თუმცა დასკვნებისთვის ჯერ მაინც ადრეა. „ჰამბურგმა" კი კვირაში შვიდი გოლი გაუშვა — „ლაუტერნამდე" უეფას თასზე შერცხვა დნეპროპეტროვსკში — 0:3.

კვლავაც ლათინობიჭების წყალობით იჩაუქა „ვოლფსბურგმა". არგენტინელმა სერბმა დიეგო კლიმოვიჩმა ერთი შეაგდო, ხოლო ბრაზილიელმა ფერნანდო ბაიანომ ორი. ამ გამარჯვებით „ვოლფსბურგმა" ცხრილში ორი საფეხურით აინაცვლა. ბაიანოს გოლების ხილვა კი ერთ რამედ ღირდა.

„კიოლნს" მოგება არ ჰქონდა და „ფრაიბურგზე" გამარჯვება მოსალოდნელიც იყო. ფრიდელ ფუნკელის გუნდს „ფრაიბურგი" თითქმის არაფრით არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ყველაფერი მუსტაფა დოგანის გოლმა გადაწყვიტა.

80 ათასმა კაცმა „ვესტფალენშტადიონზე" ლარს რიკენის შოუ იხილა. ის საუკეთესო იყო, თუმცა „ბორუსიას" ექვსი გოლიდან მხოლოდ ერთი შეაგდო. მოკლედ, ჩემპიონთა ლიგაში ვერმოხვედრილი „დორტმუნდი" ბუნდესლიგის მოგების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია.

ჩემპიონმა „ბაიერნმა" კი ორი ქულა დაკარგა მიონხენგლადბახში, მაგრამ ისეთი თამაში იყო, ქულითაც ბედნიერი უნდა იყოს.

ზედიზედ სამი წაგებული მატჩის შემდეგ მოიგო „მიუნხენ 1860"-მა — ბენჟამინ ლაუტმა ბოლო წუთზე გაიტანა 11-მეტრიანით, „აინტრახტს" კი ზედიზედ ოთხი თამაშია არ მოუგია.

**დავით თავართქილაძე**

### მეორე ბუნდესლიგა

#### IX ტური

**აუე 2:0 კარლსრუე**

1:0 შუბითიძე (10), 2:0 ჰაიდრიხი (59)
აუე: რ. პეტკოვი, კრასელტი, ემერიხი, ნოვესკი, გ. ბერგერი, მ. ჰაიდრიხი, რემი, ტოპშიოლერი, შუბითიძე (იანკე 78), ბრუმი (ჩიპევი 51), კური

**დუისბურგი 1:1 ობერჰაუზენი**

0:1 რიტპიჩი (18), 1:1 გრუევი (71პ)

**ტრირი 1:1 უნიონი**

0:1 ბაუმგარტი (3), 1:1 პაჩინსკი (64)

**ლიუბეკი 1:1 ოსნაბრიუკი**

1:0 კულიგი (21), 1:1 ჟაკა (45)

**არმინია 1:0 მაინცი**

1:0 ბოაკიე (39)

**კოტბუსი 2:1 ბურგჰაუზენი**

0:1 ბროიხი (38), 1:1 ლატუნდი (62), 2:1 და სილვა (79

**ფიურტი 2:0 ალენი**

1:0 კაილასი (3), 2:0 რაიხელი (23პ)

**რეგენსბურგი 1:2 ალემანია**

0:1 კლიცპერა (13პ), 1:1 ბინდერი (15), 1:2 კლიცპერა (88)

**უნტერჰახინგი — ნიურნბერგი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არმინია | 9 | 6 | 1 | 2 | 16:9 | 19 |
| კოტბუსი | 9 | 5 | 2 | 2 | 17:12 | 17 |
| ალემანია | 9 | 5 | 2 | 2 | 20:19 | 17 |
| მაინცი | 9 | 4 | 3 | 2 | 14:11 | 15 |
| უნტერჰახინგი | 8 | 4 | 2 | 2 | 13:12 | 14 |
| დუისბურგი | 9 | 3 | 4 | 2 | 12:11 | 13 |
| ფიურტი | 9 | 3 | 3 | 3 | 18:15 | 12 |
| ლიუბეკი | 9 | 3 | 3 | 3 | 15:14 | 12 |
| ობერჰაუზენი | 9 | 3 | 3 | 3 | 12:12 | 12 |
| ტრირი | 9 | 3 | 3 | 3 | 16:17 | 12 |
| ბურგჰაუზენი | 9 | 3 | 2 | 4 | 11:11 | 11 |
| აუე | 9 | 3 | 2 | 4 | 10:10 | 11 |
| კარლსრუე | 9 | 3 | 2 | 4 | 12:14 | 11 |
| რეგენსბურგი | 9 | 2 | 4 | 3 | 11:15 | 10 |
| ნიურნბერგი | 8 | 2 | 3 | 3 | 14:14 | 9 |
| ალენი | 9 | 3 | 0 | 6 | 9:15 | 9 |
| ოსნაბრიუკი | 9 | 1 | 4 | 4 | 9:16 | 7 |
| უნიონი | 9 | 1 | 3 | 5 | 10:12 | 6 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლევერკუზენი | 9 | 7 | 1 | 1 | 22:7 | 15 | 22 | 4 | 4 | 0 | 0 | 12:1 | 11 | 12 | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 4 | 10 |
| 2 შტუტგარტი | 9 | 6 | 3 | 0 | 12:1 | 11 | 21 | 4 | 2 | 2 | 0 | 3:0 | 3 | 8 | 5 | 4 | 1 | 0 | 9:1 | 8 | 13 |
| 3 დორტმუნდი | 9 | 6 | 1 | 2 | 19:8 | 11 | 19 | 5 | 5 | 0 | 0 | 16:4 | 12 | 15 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | -1 | 4 |
| 4 ვერდერი | 9 | 6 | 1 | 2 | 22:12 | 10 | 19 | 5 | 3 | 1 | 1 | 13:9 | 4 | 10 | 4 | 3 | 0 | 1 | 9:3 | 6 | 9 |
| 5 ბაიერნი | 9 | 5 | 3 | 1 | 21:12 | 9 | 18 | 4 | 3 | 1 | 0 | 12:5 | 7 | 10 | 5 | 2 | 2 | 1 | 9:7 | 2 | 8 |
| 6 ბოხუმი | 9 | 4 | 3 | 2 | 16:10 | 6 | 15 | 4 | 2 | 2 | 0 | 8:3 | 5 | 8 | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 1 | 7 |
| 7 ვოლფსბურგი | 9 | 5 | 0 | 4 | 20:19 | 1 | 15 | 5 | 4 | 0 | 1 | 14:7 | 7 | 12 | 4 | 1 | 0 | 3 | 6:12 | -6 | 3 |
| 8 მიუნხენი | 9 | 4 | 1 | 4 | 8:11 | -3 | 13 | 5 | 3 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 10 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | -3 | 3 |
| 9 ფრაიბურგი | 9 | 3 | 3 | 3 | 12:12 | 0 | 12 | 4 | 3 | 1 | 0 | 9:4 | 5 | 10 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | -5 | 2 |
| 10 ჰანოვერი | 9 | 3 | 2 | 4 | 17:21 | -4 | 11 | 4 | 1 | 2 | 1 | 9:8 | 1 | 5 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:13 | -5 | 6 |
| 11 ლაუტერნი | 9 | 4 | 1 | 4 | 12:12 | 0 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:4 | 3 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:8 | -3 | 6 |
| 12 შალკე | 9 | 2 | 4 | 3 | 10:14 | -4 | 10 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:6 | -1 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | -3 | 4 |
| 13 ჰამბურგი | 9 | 2 | 2 | 5 | 7:19 | -12 | 8 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:7 | -3 | 6 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:12 | -9 | 2 |
| 14 კიოლნი | 9 | 2 | 1 | 6 | 8:14 | -6 | 7 | 5 | 2 | 0 | 3 | 6:9 | -3 | 6 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:5 | -3 | 1 |
| 15 გლადბახი | 9 | 1 | 3 | 5 | 6:14 | -8 | 6 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | -2 | 5 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | -6 | 1 |
| 16 ჰანზა | 9 | 1 | 2 | 6 | 11:19 | -8 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | -2 | 3 | 5 | 0 | 2 | 3 | 7:13 | -6 | 2 |
| 17 აინტრახტი | 9 | 1 | 2 | 6 | 6:14 | -8 | 5 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:6 | -4 | 1 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | -4 | 4 |
| 18 ჰერტა | 9 | 0 | 5 | 4 | 7:17 | -10 | 5 | 5 | 0 | 2 | 3 | 4:11 | -7 | 2 | 4 | 0 | 3 | 1 | 3:6 | -3 | 3 |

*„კაიზერსლაუტერნს" დაკლებული აქვს 3 ქულა*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მაქსი (ჰანზა) | 7 |
| აილტონი (ვერდერი) | 7 |
| კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი) | 6 |
| ბაირამოვიჩი (ფრაიბურგი) | 5 |
| კრისტიანსენი (ჰანოვერი) | 5 |
| მადსენი (ბოხუმი) | 5 |
| მიკუ (ვერდერი) | 5 |
| კლოზე (კაიზერსლაუტერნი) | 5 |

**X ტური**

25 ოქტომბერი

ჰანოვერი — მიუნხენი
აინტრახტი — კიოლნი
ფრაიბურგი — ვერდერი
შტუტგარტი — ვოლფსბურგი
ჰანზა — ჰერტა
ლევერკუზენი — გლადბახი
ბაიერნი — ლაუტერნი
ჰამბურგი — შალკე
ბოხუმი — დორტმუნდი

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**

მე-12 ტური: ესენი — მიუნსტერი 1:0; ქემნიცი — კილი 1:0; პადერბორნი — ჰამბურგი (მ) 0:0; შალკე (მ) — ვუპერტალი 0:2; ნოიმიუნსტერი — იურდინგენი 1:2; კიოლნი (მ) — ვატენშაიდი 0:1; ლაიპციგი — ზანქტ პაული 2:1; ვერდერი (მ) — ბრაუნშვაიგი 4:2. *დორტმუნდი (მ) — დინამო დღეს გაიმართება*

**სამხრეთ რეგიონალლიგა**

მე-12 ტური: შვაინფურტი — შტუტგარტი (მ) 1:2; ზაარბრიუკენი — პფულენდორფი 3:2; კიკერსი — ეშბორნი 1:1; ერფურტი — მაინცი (მ) 1:1; ბაიერნი (მ) — აუგსბურგი 0:0; ვეჰენი — ფოიხტი 2:2; აალენი — ჰოფენჰაიმი 1:4; ზიგენი — ელვერსბერგი 0:2. *კაიზერსლაუტერნი (მ) — ოფენბახი დღეს გაიმართება*

# ბარსელონას ვაი-ნუგეში: ბარსელონელები იგებენ

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. VII ტური

**ვალენსია 4:0 ესპანიოლი**

1:0 მისტა (5), 2:0 ბარახა (44), 3:0 მისტა (45), 4:0 ვისენტე (79)
ვალენსია: კანისარესი, აიალა, მარჩენა, კარბონი, დავიდ ნავარო, კურრო ტორესი (გარიდო 69), ბარახა, ვისენტე, ხორხე ლოპესი, აიმარი (რუფეტე 67), მისტა (ხისკო 75)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ესპანიოლი: ტონი ხიმენესი, დავიდ გარსია, ლოპო, ბერტრანი, კარლოს გარსია, ხარკე (ოსკარი 62), მორალესი, მაქსი, ბასტია (დომორო 69), ტაიფუნი (ფრედსონი 47), რაულ მოლინა
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
გაფრთხილება: მაქსი
მსაჯი: მედინა კანტალეხო
45 000 მაყურებელი

**ბარსელონა 0:2 დეპორტივო**

0:1 ლუკე (43), 0:2 სერხიო (74)
ბარსელონა: ვალდესი, გაბრი, პუიოლი, კოკუ, ვან ბრონკჰორსტი, ხერარდი, მოტა, ლუის გარსია, ლუის ენრიკე (სანტამარია 46), რონალდინიო, სავიოლა
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, ნაიბეტი, ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა, მაურო სილვა, სერხიო (დუშერი 72), ვიქტორი (ტრისტანი 81), ვალერონი, პანდიანი, ლუკე (ფრანი 78)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ჟორჟე ანდრადე, რონალდინიო, სერხიო, მოლინა, პუიოლი, ფრანი, სავიოლა
მსაჯი: ტეიშეირა ვიტიენესი
68 222 მაყურებელი

**სელტა 0:2 რეალი**

0:1 რონალდო (22), 0:2 რობერტო კარლოსი (65)
სელტა: კაბალიერო, ველასკო, კასერესი, ანხელი, ხუანფრანი, პაბლო კონტრერასი, მოსტოვოი, გუსტავო ლოპესი (ხესული 30), ხოსე იგნასიო (ვაგნერი 66), ლუქსენი, მილოშევიჩი (კატანია 56)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
რეალი: კასილიასი, სალგადო, რაულ ბრავო, პავონი, რობერტო კარლოსი, ფიგუ (გუტი 77), ბექემი, ი. ელგერა, ზიდანი, რაული, რონალდო (სოლარი 85)
მწვრთნელი: კარლუშ კეიროში
გაფრთხილება: მილოშევიჩი, ბექემი, რაულ ბრავო, ხუანფრანი
მსაჯი: პერეს ბურული
25 000 მაყურებელი

**ალბასეტე 3:1 სოსიედადი**

1:0 დელპორტი (70), 1:1 ნიჰათი (71), 2:1 დავიდ სანჩესი (77), 3:1 არანდა (81)
ალბასეტე: როა, ოსკარი, უნაი (დავიდ სანჩესი 46), პენია, პაბლო, ვიაუდი, პარი, ლავალი, დელპორტი, ამატო (არანდა 60), პაჩეკო (ბასტი 80)
მწვრთნელი: სეზარ ფერანდო
სოსიედადი: ვესტერფელდი, კვარმე, არანსაბალი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, კარპინი, დე პედრო (გაბილონდო 77), არანბურუ (დე პაულა 70), კოვაჩევიჩი, ნიჰათი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
15 000 მაყურებელი

**ატლეტიკო 2:1 მალიორკა**

1:0 ტორესი (26), 1:1 ეტოო (37), 2:1 ხორხე (90)
ატლეტიკო: ბურგოსი, სერხი, ლეკი, დე ლოს სანტოსი, მუსამპა (ნანო 76), სიმეონე, აგილერა (გასპარი 46), იბაგასა (ხორხე 63), ნოვო, ფ. ტორესი, ნიკოლაიდისი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
მალიორკა: მიკი, ფ. ნინიო, კორტესი, ოლაიზოლა, ნადალი, კამპანო, ნაგორე, კოლსა (კორეა 66), ნენე (ი. სტანკოვიჩი 46), ეტოო, ბრუგინკი (მარკოსი 46)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: სერხი, ნადალი, დე ლოს სანტოსი, ნაგორე, სიმეონე, მარკოსი
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
35 000 მაყურებელი

**სარაგოსა 1:0 ვალიადოლიდი**

1:0 სავიო (14)
სარაგოსა: ლაინესი, რებოსიო, კუარტერო, ალვარო, ტოლედო, გალეტი (ინიაკი 77), სავიო (ფერონი 74), პონციო, კორონა, სორიანო, ვილა (იბან ქამპადასი 84)
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
ვალიადოლიდი: ბიზარი, პენია (პაჩონი 83), მარკოსი, ტორეს გომესი, ჟულიო სეზარი, ხესუსი, ჩემა (საპატა 76), რიკეტი (კარდეტი 60), ფ. სალესი, მაკუკულა, სოუზა
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: ტორეს გომესი, პენია, ჩემა, პონციო, გალეტი, ფ. სალესი, კუარტერო, პონციო, რებოსიო
გაძევება: პონციო (58)
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
32 000 მაყურებელი

**სევილია 2:2 ბეტისი**

1:0 რეიესი (49), 1:1 დენილსონი (51), 1:2 ტოტე (59), 2:2 ანტონიტო (81)
სევილია: ესტებანი, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, დანიელ ალვესი (ხ. რედონდო 53), პაბლო ალფარო, მარტი, ბაპტისტა, კასკერო (მარკოს ვალესი 61), დარიო სილვა, რეიესი, ორნოსი (ანტონიტო 69)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ბეტისი: პედრო კონტრერასი, ლუის ფერნანდესი (რივასი 65), ხუანიტო, ვარელა, ლემბო, არზუ, დენილსონი, კაპი (იტო 90), მ. ასუნსაო, ხოაკინი, ტოტე (ფერნანდო 67)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: კაპი, დანიელ ალვესი, დარიო სილვა, არზუ
მსაჯი: მორენო დელგადო
40 000 მაყურებელი

**ბილბაო 2:0 ვილიარეალი**

1:0 ურსაისი (50), 2:0 ეჩებერია (85)
ბილბაო: არანსუბია, ა. კარანკა, ლაკრუსი, სესარი, ირაოლა (ხავი გონსალესი 62), გურპეგი, დელ ორნო, ტიკო, ესკერო (ორბაისი 79), ხ. ეჩებერია (ხონანი 88), ურსაისი
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
ვილიარეალი: რეინა, არუაბარენა, მარტი, კოლოჩინი, ხავი ვენტა (ხისკო 71), ბალესტეროსი, ხოსიკო (ბელეტი 54), რიკელმე, როხერი (ს. ანდერსონი 53), გიარე, ხოსე მარი
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
გაფრთხილება: ურსაისი, ბალესტეროსი, დელ ორნო, კარანკა, ხოსიკო, მარტი
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
30 000 მაყურებელი

**რასინგი 4:2 მალაგა**

0:1 სალვა (19), 1:1 მორანი (58), 2:1 ბენაიუნი (59), 3:1 ჟონათანი (69), 4:1 ბოდიპო (83), 4:2 ლეკო (89)
რასინგი: რიკარდო, ნერუ, პაბლო კასარი, ხუანმა, კასარი, ნაფტი, მორანი, რეგუერო (ჟონათანი 46), მატეო (აფეკი 46), ბოდიპო, ბენაიუნი (ჩიკი 89)
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
მალაგა: არნაუ, ხოსემი, ლიტოსი, ვალკარსე, ფ. სანსი, რომერო, მანუ (ინსუა 73), დუდა (დიეგო ალონსო 73), მიგელ ანხელი (ლეკო 65), ედგარი, სალვა
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: მიგელ ანხელი, აფეკი, რომერო
მსაჯი: პინო სამორანო
12 600 მაყურებელი

**ოსასუნა 2:1 მურსია**

1:0 ბაკაიოკო (18), 1:1 ლუის გარსია (19), 2:1 ბაკაიოკო (83)
ოსასუნა: ელია, ისკიერდო, ანტონიო ლოპესი, მატეო, კუელიარი, პუნიალი, მოა (პინეირო 46), პაბლო გარსია, ვალდო (მორალესი 86), ივან როსადო (ვებო 57), ბაკაიოკო
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
მურსია: ხუანმი, როტეტა (პედრო ლაგო 60), ხუანმა, კარერასი, კუადრადო, მასიელი (ხულიო ალვარესი 41), აკიარი, იენსენი, მიჩელი, დ. კარანკა (რობერტო 76), ლუის გარსია
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: კარერასი, მოა, პაბლო გარსია, კუადრადო, პედრო ლაგო, ლუის გარსია, აკიარი, კარერასი
გაძევება: კარერასი (80), იენსენი (83)
მსაჯი: მეია დავილა
14 000 მაყურებელი

REUTERS ბარსელონიდან





ბარსელონა — დეპორტივო. ხუან კაპდევილამ ხავიერ სავიოლას გასაქანი არ მისცა, თავისიანთა უმწეობამ კი ფრანკ რაიკარდი ფრიად დაალონა

პრიმერადივიზიონში ერთი დაუმარცხებელი და ერთიც ვერმოუგებელი გუნდია. ეს გუნდები მეშვიდე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ და დაუმარცხებელმა გაუმარჯვებელი იოლად დაამარცხა. შედეგად გამარჯვებული ლიდერად დარჩა, დამარცხებული კი კვლავ ბოლო ადგილზეა.

რა გამოცნობა უნდა, რომ „ვალენსია“ — „ესპანიოლის“ შეხვედრაზე მოგახსენებთ. კაცმა რომ თქვას, გასარჩევიც არაფერია და მხოლოდ ერთ გარემოებაზე შევჩერდებით: „ვალენსიამ“ ორი გოლი პირველი ტაიმის წამატებულ წუთებში გაიტანა.

„რეალი“ ზედიზედ მესამე სეზონია, რაც „სელტას“ მისსავე მოედანზე ამარცხებს. ამჯერად მადრიდელებმა წყვილი ბრაზილიური გოლებით მოიგეს. პირველი გოლი ზიდანისა და ფიგუს წამოწყებულ კონტრიერიშს მოჰყვა, რომელიც რონალდომ დაასრულა. მეორე გოლი ახლო მანძილიდან რობერტო კარლოსმა შეაგდო. თუ გავითვალისწინებთ, რომ მეკარეები რობერტო კარლოსის უშორეს დარტყმებსაც ვერაფერს უხერხებენ, ვიგოელი მეკარე ახლოდან დარტყმისას აბა, რას გახდებოდა.

ტურის მთავარი მატჩი კი, რაღა თქმა უნდა, „ბარსელონა“ — „დეპორტივო“ გახლდათ.

„ბარსას“ თავს რაღაც ხდება, უფრო სწორად — დიდი ხანია ხდება. ამ სეზონში კი ასეა: გუნდს საკუთარ „კამპ ნოუზე“ ჯერ ჩემპიონატის მატჩი არ მოუგია. კატალონიელებს პირველი გოლი ბარსელონაში დაბადებულმა და აღზრდილმა, ტომით კატალონიელმა ალბერტ ლუკემ გაუტანა, ვინაც ხუან კაპდევილას პასი შეირგო. მეორე გოლი კი ხუან კარლოს ვალერონის გარღვევას მოჰყვა და სერხიომ გაიტანა. გავიხსენოთ, რომ სერხიოც ბარსელონელია, ერთ ხანს „ესპანიოლში“ თამაშობდა.

თუ „ვალენსიას“, „დეპორტივოს“ და „რეალის“ ლიდერობა ჩვეულებრივი ამბავია და ძნელად თუ ვინმეს გააკვირვებს, მათ ქვემოთ კი მეოთხეზე „ოსასუნაა“, მეხუთეზე — „რასინგი“.

**სოსიედადი:** ვესტერფელდი, არანსაბალი, ხაურეგი, შურერი, პოტილიონი, კარპინი, არანბურუ, ხაბი ალონსო, დე პედრო, კოვაჩევიჩი, ნიჰათი

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

# სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. III ტური** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 001 | ფულემი-ნიუკასლი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. I ტური** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 015 | უოტფორდი-ქოვენტრი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. VI ტური** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 016 | ქრიუ-პრესტონი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 23.45 | 017 | ნორვიჩი-დერბი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 23.45 | 018 | ვესტ ბრომვიჩი-უიმბლდონი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 019 | ვესტ ბრომვიჩი-უიმბლდონი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 24.00 | 020 | კრისტალ პალასი-იფსვიჩი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 24.00 | 021 | რედინგი-უოლსოლი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 24.00 | 022 | სანდერლენდი-როტერჰემი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 023 | სანდერლენდი-როტერჰემი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 24.00 | 024 | უიგანი-შეფილდი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XV ტური** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 041 | ბლეკპული-რაშდენი | 1,95 | 3,3 | 3,4 | 1,22 | 1,23 | 1,67 |
| 23.45 | 042 | ბორნმუთი-ლუტონი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 23.45 | 043 | ბრენტფორდი-ბრაიტონი | 2.8 | 3,2 | 2,3 | 1.49 | 1,26 | 1,33 |
| 23.45 | 044 | ჩესტერფილდი-პორტვეილი | 2.6 | 3,2 | 2,4 | 1.43 | 1,24 | 1,37 |
| 23.45 | 045 | გრიმსბი-ნოტსი | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| 23.45 | 046 | პიტერბორო-ბარნსლი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 23.45 | 047 | პორტ ვეილი-ქუინს პარკი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 23.45 | 048 | სტოკპორტი-კოლჩესტერი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 23.45 | 049 | ტრანმერი-სუინდონი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 23.45 | 050 | რექსემი-ოლდემი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 23.45 | 051 | უაიკომბი-ბრისტოლი | 3,3 | 3,2 | 2,05 | 1,62 | 1,26 | 1,24 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XV ტური** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 071 | როჩდეილი-ლეიტონი | 1.8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1.22 | 1,76 |
| 23.45 | 072 | ბური-ჰალი | 3,6 | 3,3 | 1,85 | 1,72 | 1,22 | 1,18 |
| 23.45 | 073 | კარლაილი-სკანთორპი | 3.0 | 3,3 | 2,15 | 1,57 | 1,25 | 1,3 |
| 23.45 | 074 | ჩელტენჰემი-დარლინგტონი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1.24 | 1,69 |
| 23.45 | 075 | დონკასტერი-რიჩმონდი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 23.45 | 076 | ლინკოლნი-მაკლსფილდი | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| 23.45 | 077 | ნორთჰემპტონი-კიდერმინსტერი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 23.45 | 078 | საუთენდი-ბოსტონი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1.64 |
| 23.45 | 079 | სუონსი-კემბრიჯი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 23.45 | 080 | ტორკი-მენსფილდი | 2.3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1.26 | 1,49 |
| 23.45 | 081 | იოვილი-ჰადერსფილდი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 23.45 | 082 | იორკი-ოქსფორდი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1.37 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XII ტური** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.30 | 153 | დორტმუნდი(მ)-ლიუბეკი | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,18 | 1,21 | 1,69 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XII ტური** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.00 | 167 | კაიზერსლაუტერნი(მ)-ოფენბახი | 2,8 | 3,3 | 3,2 | 1,51 | 1,49 | 1,62 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XIII ტური** | | | | | | |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. X ტური** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.00 | 319 | სპარტა-ჰელმონდი | 2,05 | 3,4 | 3,0 | 1,27 | 1,21 | 1.59 |
| | | **ირლანდია. პრემიერლიგა. XXVIII ტური** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 471 | ლონგფორდი-დერი | 1,7 | 3,2 | 4,2 | 1,11 | 1,21 | 1,81 |
| 23.45 | 472 | უკდ-ბოჰემიანი | 4,6 | 3,3 | 1,6 | 1,92 | 1.18 | 1,07 |
| 24.00 | 473 | დროგედა-შემროკი | 2,7 | 3,2 | 2,25 | 1,46 | 1,22 | 1,32 |
| | | **პოლონეთი. თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები.** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.30 | 712 | ლეხი-პოლკოვიცე | 1,6 | 3,5 | 4,8 | 1,09 | 1,2 | 2,02 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა. III ტური** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.30 | 714 | ლოკომოტივი-ინტერი | 4,2 | 3,2 | 1.8 | 1,81 | 1,26 | 1,15 |
| 23.45 | 715 | ანდერლეხტი-სელტიკი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 23.45 | 716 | ლიონი-ბაიერნი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 23.45 | 717 | დინამო-არსენალი | 3,5 | 3,2 | 2.0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 23.45 | 718 | დეპორტივო-მონაკო | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 23.45 | 719 | აეკ-პსვ | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 23.45 | 720 | გალათასარაი-ოლიმპიაკოსი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 23.45 | 721 | იუვენტუსი-სოსიედადი | 1,5 | 3,5 | 7.0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი.** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.30 | 1001 | სალავატი-ლადა | 2,0 | 4,6 | 2,4 | 1,39 | 1,09 | 1,57 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი.** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.30 | 1039 | ლიტვინოვი-სლავია | 2,35 | 4,2 | 2,15 | 1.5 | 1,12 | 1,42 |
| 21.30 | 1024 | სპარტა-კარლოვი ვარი | 1,4 | 4,8 | 4,8 | 1,08 | 1,08 | 2,4 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.00 | 1042 | ნიტრა-სკალიცა | 2,25 | 3,6 | 2,4 | 1,38 | 1,16 | 1.44 |
| 20.00 | 1043 | მიხალოვცე-სლოვანი | 2,8 | 4,0 | 1.9 | 1,64 | 1,13 | 1,28 |
| 20.00 | 1044 | პოპრადი-მარტინი | 1.65 | 4,0 | 3,6 | 1,16 | 1,13 | 1,89 |
| 20.00 | 1045 | ზვოლენი-ჟილინა | 1,6 | 4,0 | 4,0 | 1,14 | 1,14 | 2 |
| 20.00 | 1046 | ტრენჩინი-კოშიცე | 1,5 | 4,4 | 4,4 | 1,11 | 1,11 | 2,2 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 1060 | ჰამბურგი-კიოლნი | 2,05 | 4,2 | 2,45 | 1,37 | 1,11 | 1,54 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 1076 | ლუგანო-ფრიბურგი | 1,35 | 5,3 | 4,8 | 1.07 | 1,05 | 2,51 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.00 | 1091 | ლულეო-მოდო | 2,2 | 4,2 | 2,3 | 1.44 | 1,12 | 1.48 |
| 22.00 | 1092 | ტიმრო-ბრიუნესი | 1,5 | 5,0 | 3,8 | 1,15 | 1,07 | 2,15 |
| 22.00 | 1093 | ლინჩიოპინგი-ჰვ 71 | 2,4 | 4,2 | 2,1 | 1,52 | 1,12 | 1,4 |
| 22.00 | 1094 | მალმიო-ფრიოლუნდა | 2,45 | 4,4 | 2,0 | 1,57 | 1,1 | 1,37 |
| 22.00 | 1095 | სოდერტელიე-იურგორდენი | 2,3 | 4,2 | 2,2 | 1,48 | 1,12 | 1,44 |
| 22.00 | 1096 | ფერიესტადი-ლეკსანდი | 1,25 | 6,0 | 6,0 | 1,03 | 1,03 | 3 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.30 | 1112 | ჰელსინკი-ტურკუ | 2,0 | 4,2 | 2,5 | 1,35 | 1,11 | 1,56 |
| 20.30 | 1113 | სეპა-ლუკო | 2,1 | 4,2 | 2,4 | 1,4 | 1,12 | 1,52 |
| 20.30 | 1114 | ტაპარა-პელიკანსი | 1,55 | 4,8 | 3,6 | 1,17 | 1,08 | 2,05 |
| 20.30 | 1115 | ესპო-კერპეტი | 2,2 | 4,2 | 2,3 | 1.44 | 1,12 | 1,48 |
| | | **ჰოკეი. NHL** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 04.00 | 1131 | ტამპა ბეი-ატლანტა | 1,85 | 3,6 | 3,1 | 1,22 | 1.15 | 1,66 |
| 05.00 | 1132 | მინესოტა-კალგარი | 2,0 | 3.5 | 2,9 | 1,27 | 1,18 | 1,58 |
| 06.00 | 1133 | კოლორადო-ბოსტონი | 1,65 | 3,8 | 3,8 | 1,15 | 1,15 | 1,9 |
| 06.00 | 1134 | ედმონტონი-სტ.ლუისი | 2,35 | 3,5 | 2,35 | 1,4 | 1,17 | 1,4 |
| 07.30 | 1135 | ლოს ანჯელესი-ფილადელფია | 2,35 | 3,5 | 2,35 | 1,4 | 1,17 | 1,4 |
| 07.30 | 1136 | სან ხოსე-ანაჰაიმი | 2,1 | 3,6 | 2,6 | 1,32 | 1,16 | 1,5 |
| | | **რაგბი. მსოფლიოს თასი** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 14.30 | 1301 | იტალია-კანადა | 1,1 | 20,0 | 5,0 | 1,04 | 1 | 4 |
| | 1302 | იტალია-კანადა 0:16 | 1,8 | 10,0 | 1,8 | | | |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **21 ოქტომბერი** | | |
| 23.45 | 5301 | ფულემი-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 21.30 | 5302 | ლოკომოტივი-ინტერი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 5303 | ანდერლეხტი-სელტიკი | 1,65 | 1,95 |
| 23.45 | 5304 | ლიონი-ბაიერნი | 1,65 | 1,95 |
| 23.45 | 5305 | დინამო-არსენალი | 1,65 | 1,95 |
| 23.45 | 5306 | დეპორტივო-მონაკო | 1,65 | 1,95 |
| 23.45 | 5307 | აეკ-პსვ | 1,65 | 1,95 |
| 23.45 | 5308 | გალათასარაი-ოლიმპიაკოსი | 1,65 | 1,95 |
| 23.45 | 5309 | იუვენტუსი-სოსიედადი | 1,7 | 1,9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **21 ოქტომბერი** | | |
| 23.45 | 5401 | ფულემი-ნიუკასლი | 1,9 | 1,9 |
| 21.30 | 5402 | ლოკომოტივი-ინტერი | 2,4 | 1,6 |
| 23.45 | 5403 | ანდერლეხტი-სელტიკი | 1,8 | 2,0 |
| 23.45 | 5404 | ლიონი-ბაიერნი | 1,9 | 1,9 |
| 23.45 | 5405 | დინამო-არსენალი | 2,2 | 1,7 |
| 23.45 | 5406 | დეპორტივო-მონაკო | 1,35 | 3,2 |
| 23.45 | 5407 | აეკ-პსვ | 1,75 | 2,1 |
| 23.45 | 5408 | გალათასარაი-ოლიმპიაკოსი | 1,45 | 2,8 |
| 23.45 | 5409 | იუვენტუსი-სოსიედადი | 1,35 | 3,2 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 23.45 | 5501 | ფულემი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.30 | 5502 | ლოკომოტივი-ინტერი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 23.45 | 5503 | ანდერლეხტი-სელტიკი | 3,0 | 2,8 | 2.0 |
| 23.45 | 5504 | ლიონი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2.0 |
| 23.45 | 5505 | დინამო-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2.0 |
| 23.45 | 5506 | დეპორტივო-მონაკო | 3,0 | 2,8 | 2.0 |
| 23.45 | 5507 | აეკ-პსვ | 3,0 | 2,8 | 2.0 |
| 23.45 | 5508 | გალათასარაი-ოლიმპიაკოსი | 3.0 | 2,8 | 2.0 |
| 23.45 | 5509 | იუვენტუსი-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **21 ოქტომბერი** | | |
| 23.45 | 5201 | ფულემი-ნიუკასლი | 1,9 | 1.7 |
| 21.30 | 5202 | ლოკომოტივი-ინტერი | 1.7 | 1.9 |
| 23.45 | 5203 | ანდერლეხტი-სელტიკი | 1,9 | 1.7 |
| 23.45 | 5204 | ლიონი-ბაიერნი | 1,85 | 1,75 |
| 23.45 | 5205 | დინამო-არსენალი | 1,8 | 1.8 |
| 23.45 | 5206 | დეპორტივო-მონაკო | 1,9 | 1.7 |
| 23.45 | 5207 | აეკ-პსვ | 1,85 | 1,75 |
| 23.45 | 5208 | გალათასარაი-ოლიმპიაკოსი | 1,85 | 1,75 |
| 23.45 | 5209 | იუვენტუსი-სოსიედადი | 1,85 | 1,75 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 5001 | ფულემი-ნიუკასლი | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| 21.30 | 5002 | ლოკომოტივი-ინტერი | 4,8 | 2,05 | 2,3 | 1,43 | 1,55 | 1.08 |
| 23.45 | 5003 | ანდერლეხტი-სელტიკი | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1.55 | 1,29 |
| 23.45 | 5004 | ლიონი-ბაიერნი | 3.2 | 2,05 | 3.1 | 1,24 | 1,57 | 1,23 |
| 23.45 | 5005 | დინამო-არსენალი | 4,2 | 2,05 | 2,45 | 1.37 | 1,54 | 1.11 |
| 23.45 | 5006 | დეპორტივო-მონაკო | 1.9 | 2.3 | 5,6 | 1,04 | 1,41 | 1,63 |
| 23.45 | 5007 | აეკ-პსვ | 2,6 | 2,1 | 3.6 | 1.16 | 1.5 | 1.32 |
| 23.45 | 5008 | გალათასარაი-ოლიმპიაკოსი | 2,1 | 2,15 | 5.3 | 1,06 | 1.5 | 1,52 |
| 23.45 | 5009 | იუვენტუსი-სოსიედადი | 1,9 | 2,3 | 5,6 | 1.04 | 1,41 | 1,63 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 25.10 16.30 | 5601 | ინგლისი პლ (X) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 25.10 16.30 | 5602 | შოტლანდია პლ (X) | 15 და ნაკლები – 1,9; 17 და მეტი – 1,9 |
| 25.10 18.30 | 5603 | გერმანია ბლ (X) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 25.10 21.00 | 5604 | იტალია A (VII) | 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9 |
| 25.10 20.30 | 5605 | ესპანეთი Iდ (VIII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 25.10 20.15 | 5606 | საფრანგეთი Iდ (XI) | 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9 |
| 24.10 23.00 | 5607 | ჰოლანდია Iდ (IX) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 25.10 23.00 | 5608 | ბელგია Iდ (X) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | | | | |
| 23.45 | 5101 | ფულემი-ნიუკასლი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 21.30 | 5102 | ლოკომოტივი-ინტერი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 23.45 | 5103 | ანდერლეხტი-სელტიკი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 23.45 | 5104 | ლიონი-ბაიერნი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.45 | 5105 | დინამო-არსენალი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 23.45 | 5106 | დეპორტივო-მონაკო | 2,1 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 23.45 | 5107 | აეკ-პსვ | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 23.45 | 5108 | გალათასარაი-ოლიმპ. | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 23.45 | 5109 | იუვენტუსი-სოსიედადი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# RUGBY WORLD CUP 2003

ავსტრალია 10 ოქტომბერი — 22 ნოემბერი

## საქართველო 9:46 სამოა

19 ოქტომბერი. პერთი. «სუბიაკო ოვალი»

საქართველო: ხეხელაშვილი (ხამაშურიძე), ურჯუკაშვილი, ზიბზიბაძე, ი. გიორგაძე, კაცაძე (მაჩხანელი), ჯიმშელაძე, აბუსერიძე (კვირიკაშვილი); ზედგინიძე (კაპ), იაშვილი, ლაბაძე (ბოლღაშვილი), ნადირაძე (დიდებულიძე), მჭედლიშვილი, ნიკოლაენკო (მარგველაშვილი), ა. გიორგაძე, შველიძე
2ს: ჯიმშელაძე; 1ა: ჯიმშელაძე

სამოა: ვილი, ფანუატანი (ფეაუნატი), ფანოლუა (რასმუსენი), ლიმა, ტაგიკაკიბაუ, ვაა, სოოიალო (ტაირელი); სიტიტი (კაპ), ფასავალუ (ვაილი), პულოსი, ლაფაიალიი, პალეპოი (ვილიამუ), ტომული, მერედითი (შვალგერი), ლეალამანუა (ლემალუ)
ნლ: ფეაუნატი, ლიმა, სიტიტი, სოოიალო, ტაგიკაკიბაუ, ვაა; ნგ: ვაა; 2ს: ვაა

# ლელო, ლელო! საქართველო!

## ხელი არა, ფეხი არა, ხაზიც არა...

**რატომ** ვუყურებთ საქართველოს მორაგბეთა ნაკრების თამაშებს? გასაგებია, ქართველები ვართ და ამიტომ, მაგრამ ხომ უნდა არსებობდეს კიდევ რაღაც მიზეზი, რითაც ჩვენი ნაკრები დააინტერესებს რაგბის კოსმოპოლიტ მაყურებელს — იგულისხმება არა ინგლისელი დიპლომატი, არამედ უბრალო მაყურებელი, გინდაც ინგლისელი იყოს, ან ფრანგი, ან თუნდაც იტალიელი.

სარაგბო პროვინციიდან ახლა გასული საქართველოს ნაკრები ინგლისმა ჩამოუქნელი მეომრების გუნდად აღმოაჩინა. სამოასთან მატჩში კი ბორჯღალოსნები ასეთებადაც ვერ გამოჩნდნენ. ხელიდან დავარდნილ და საკუთარ აუტში წაგებულ ბურთებს რომ თავი დავანებოთ — ანკი რატომ უნდა დავანებოთ — მსოფლიოს თასის დებიუტანტი საქართველო სარაგბო მსოფლიომ გაიცნო გუნდად, რომელმაც ორ შეხვედრაში ერთი ხეირიანი შეტევა ვერ გამართა.

ურუგვაიმ გაუტანა ლელო სამოას, იაპონიამ საფრანგეთთან იფრინა, აშშ-მ ლამის დაამარცხა ფიჯი, ლატაკმა ტონგამ კი „დამშეული" უელსი გააწამა. საქართველო კი თასის მონაწილე ოც გუნდში ერთადერთია, რომელმაც ერთხელაც ვერ გაჭრა მეტოქის სალელოვე ხაზი. ერთადერთი, რაც აქამდე ჩვენებმა ავსტრალიაში მოახერხეს, ინგლისთან „ვაჟკაცური" თავდაცვაა — რაგბიში დაცვაში დგომა მარცხის სინონიმია, საქართველომაც ინგლისთან 12 ლელო გაუშვა.

სამოასთან თამაშში კი დაცვაც ჩავარდა. 6:84 მარცხის შემდეგ, 9:46 წაგებამ იქნებ ვინმეს ხასიათიც გამოუკეთოს, თუმც თამაშის მნახველებს, ვაგლახ, რომ საპირისპირო განწყობა გვჭამს. კლოდ სორელის გუნდს კარგა ხანია, ასე უაზროდ და უშინაარსოდ არ უთამაშია. ასეთი მატჩის დროს საშინელი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გეძლება, მერე კი ვინ იცის, იქნებ არასრულფასოვნების კომპლექსითაც დაავადდე, აი ისე, როგორც საქართველოს საფეხბურთო ნაკრების თამაშების შემდეგ. ამ შემთხვევაში „კარგი" მხოლოდ ისაა, რომ ფეხბურთს მუქიანი საქართველოს ალბათ 90 პროცენტი უყურებს, რაგბის კი ამის ნახევარიც არა.

ბევრისგან გვსმენია და სორელსაც უთქვამს, ყოველი სარაგბო თამაში მომდევნოს მოსამზადებელი ვარჯიშიაო. სრული ჭეშმარიტებაა. რაგბი რაციონალური და დახვეწილი თამაშია, თანაც მუდმივ შესწავლას საჭიროებს, რადგან სქემატურად სხვა თამაშებზე გაცილებით სწრაფად ვითარდება. მაგრამ დავანებოთ თავი ინგლისის და ახალი ზელანდიის სათამაშო სქემებს და ეს ვიკითხოთ — რატომ ტკეპნის ერთ ადგილს კლოდ სორელის გუნდი? ათეულობით თამაშში ნაგროვები გამოცდილება ნუთუ იმასაც ვერ გასწვდა, რომ საქართველოს საამაყო ნაკრებს სამოასთან თუნდაც ერთი გააზრებული შეტევა გაეშალა და გაეკეთებინა დარტყმა, რომელშიც გუნდის მესამედს წინასწარ შემუშავებული გონივრული გეგმის მიხედვით ჩაებამდა? არადა, სამოა შედარებით რბილი და კორექტული გუნდია და ისე ბინძურად არ გირტყამს ცხვირში და ხერხემალში, როგორც, ვთქვათ, რუმინეთი. თანაც სამოელები პირველ ტაიმში ოდნავ დაბნეულები იყვნენ და მეტოქეს თამაშის საშუალებას აძლევდნენ.

ბორჯღალოსნები ორ თამაშში ერთადერთხელ „მიეპარნენ" მეტოქის ლელოს. პირველხაზელი გოდერძი შველიძე როგორღაც დაუძვრა სამოელებს და სანუკვარ მიზანს სამიოდ მეტრამდე მიუახლოვდა. სამოელებს ქართველი მორკინალის გაჩერება არაერთკაციან ზედახორად „დაუჯდათ". ლელომდეც რაღა იყო დარჩენილი, ერთი ბარაქიანი მიწოლა, მაგრამ...

ნუ დავაბრალებთ წარუმატებლობას „ლეონსიოს" არყოფნას, რომელიც მსგავს სიტუაციაში უბადლოა და მისი მეთაურობით ქართველებს არაერთხელ შეუთრევიათ მეტოქე ხაზს იქით. მიწოლასაც ცოდნა უნდა და ორგანიზება, იმ მომენტში კი საქართველოს ნაკრები შორს იყო ორგანიზებულობისგან. ყველა მძიმე მორკინალი ზედახორაში დაკავდა, იქიდან გამოტანილი ბურთი კი ყველაზე გამხდარსა და მსუბუქ მორკინალს გია ლაბაძეს მიუვიდა. თანაც ლაბაძე არც კი მოძრაობდა და სანამ ხელებში მიჩეჩებულ ბურთს რამეს მოუხერხებდა, მეტოქემ გასაქანი მოუსპო მასაც და მთელ ჩვენს ნაკრებსაც. ბორჯღალოსნებს ასეთი რამ პირველად არ ემართებათ და სორელმა ეს უნდა შენიშნოს.

ბორჯღალოსნების თამაშში კიდევ უამრავი რამაა შესანიშნი. აი, „შესანიშნავი" კი კვირას „სუბიაკო ოვალზე" სამოას ნაკრებზე ითქმოდა. უცხო და ჯანიან მეტოქეს უფრთხოდნენ თუ სხვა მიზეზით, სამოელებმა შეხვედრა დაბნეულებმა დაიწყეს, ბურთსაც ხშირად კარგავდნენ და შებორკილად მოძრაობდნენ, თუმცა ამ „დაბნეულობაში" პირველ ტაიმში მაინც გაიტანეს სამი ლელო. მეორეში კი გვაჩვენეს, როგორ უნდა რაგბის თამაში. ეს დალოცვილი ბურთაობა თითქოს სამოელებისთვის მოიგონესო, პატარა და ლატაკი კუნძულების შავტუხა მკვიდრებს ბურთი ხელებზე მიწებებული ჰქონდათ, ფეხებით კი ლამურასავით დაფრინავდნენ — ხომ გინახავთ, ეს ნახევრადბრმა ძუძუმწოვარა ერთ ამოსუნთქვა ოთახშიც კი ისე დაფრინავს, არაფერს ეხება.

არადა, სამოაში ისე ჭირს თავის გატანა, მორაგბეები შორეულ მეზობელ ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში გარბიან და თუ ივარგეს, ამ გიგანტი სარაგბო ქვეყნების ნაკრებებშიც თამაშობენ. თუნდაც ბორჯღალოსნებისთვის მეოთხე ლელოს გამტანი სტივენ სოოიალოს ძმა როდნი მოვიტანოთ მაგალითად, რომელმაც ამ პარასკევს „ოლ ბლექსის" 8-ნომრიანი მაისურით ორი ლელო გაუტანა კანადას. ღარიბები არიან სამოელები და ნორმალური ხელფასი ენატრებათ, მაგრამ გუნდი მაინც შესანიშნავად ორგანიზებული ჰყავთ და მსოფლიოს თასზე გამოსვლის ჩამოყალიბებული გეგმაც გააჩნიათ. მათ უკვე მოუგეს C ჯგუფის ორ აუტსაიდერს, ურუგვაისა და საქართველოს, ახლა კი დაძაბუნებულ სამხრეთ აფრიკას თავს შეაკლავენ და თუ ცოტა ბედმაც გაუღიმათ, იქნებ ეს თიხისფეხება გოლიათი წამოაქციონ, რაც მეოთხედფინალში ახალ ზელანდიასთან თამაშს ნიშნავს.

სამხრეთ აფრიკასთან შეტაკება ბორჯღალოსნებსაც ემუქრება, თანაც, სამწუხაროდ, 25 ოქტომბერს, უშუალო კონკურენტ ურუგვაისთან შეხლამდე მხოლოდ სამი დღით ადრე. რა განწყობით გავლენ ბორჯღალოსნები მოედანზე მათზე სუსტად შერაცხულ ურუგვაისთან სათამაშოდ?

**ირაკლი ფირაშვილი**



REUTERS ფოტოები

სამოელთა დამრტყმელმა ერლ ვაამ ბორჯღალოსნებს ერთი ლელო, ხუთი გარდასახვა და ორი საჯარიმო გაუტანა



სტივენ სოოიალო პალიკო ჯიმშელაძესაც დაუსხლტა და ირაკლი აბუსერიძესაც

# ჯოხმაგარ ინგლისს კუნ-წუნით რას დააკლებ

18 ოქტომბერი. პერთი

**ს. აფრიკა 6:25 ინგლისი**

**სამხრეთ აფრიკა:** იაკო ფან დერ ვესტჰოიზენი, ვილემსე, მულერი, ბარი, დელპორტი (ხრეეფი), კუნი (ჰუგარდი), იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი; სმიტი, ფან ნიკერკი, კრიხე (კაპ), მეტფილდი, ბოთა, ბანდსი (სეპაკა), კუცი (სმიტი), ბეზუიდენჰაუტი
2ს: კოენი
**ინგლისი:** ლუისი, რობინსონი, გრინვუდი, ტინდალი (ლუგერი), კოენი, უილკინსონი, ბრაქენი; დალალიო, ბეკი (უორსლი), მუდი, კეი, ჯონსონი (კაპ), ვიკერი, ტომპსონი, ვუდმენი (ლეონარდი)
1ლ: გრინვუდი; 1გ: უილკინსონი; 4ს: უილკინსონი; 2ა: უილკინსონი

**ინგლისელ** მიმომხილველთა აზრით, ამ მატჩის ზორბა ნაწილი ვაგლახად ჩამოჰგავდა 1999 წლის მსოფლიოს თასის მეოთხედფინალურ შეხლას, სადაც სამხრეთაფრიკელმა ფორვარდებმა მძლავრ წნეხში მოაქციეს ინგლისელთა შერკინება. მაგრამ იმ მატჩში ქურციკებს ჰყავდათ ჩუბინი დამრტყმელი იანი დე ბეერი, რომლის მიერ მონაგრულმა ქულებმაც შეხვედრის სასწორი საბოლოოდ სწორედ მათკენ გადახარა.

ახლა კი სამხრეთაფრიკელები მათი ამჟამინდელი ათი ნომრის, ლუის კუნის იმედად არიან და როგორც არა ერთხელ აქამდე, ამ მატჩის წაგებაც მის მიერ აცილებულ საჯარიმოებს უნდა დააბრალონ. არადა, კუნს პირველ ნახევარში სამი დარტყმა რომ არ აეცილებინა, არავინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები მეორეში.

ერთი სიტყვით, ინგლისელები, რომელთაგანაც ყველა — რეიტინგსიაში მათი ამჟამინდელი პირველობიდან გამომდინარე — გაცილებით უფრო შთამბეჭდავ ბურთაობას ელოდა, არცთუ ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ. ჩანს, მართალი უნდა იყოს ქართველთა ფრანგი მწვრთნელი კლოდ სორელი, ვინაც „როიტერისთვის" ამ მატჩამდე მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ ინგლისი არ არის უძლეველი გუნდი და რომ ფავორიტობის წნეხი მისთვის ძნელი ასატანი იქნება.

ერთადერთი, ვინც კუნძულელთაგან თავისი საქმე უნაკლოდ აკეთა, მათი ფეხუმცდარი ათი ნომერი ჯონი უილკინსონი იყო. მან ოთხი საჯარიმოც ზუსტად გლიჯა, გარდასახვაც და ბოლოსკენ ორი ნატიფი არეკნიც დაურთო.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე ნახევარი მათ უფრო აგრესიულად დაიწყეს, ფსიქოლოგიური ბორკილები ინგლისელებს მხოლოდ 62-ე წუთზე მოეხსნათ. ლუის მუდიმ იმავ კუნს დარტყმა დაუფარა, ხოლო ქურციკთა ლელოში შეგორებულ ბურთს პირველმა უილ გრინვუდმა მიუსწრო. „ნაჩუქარმა" შვიდმა ქულამ კლაივ ვუდვორდის ბიჭები დაამშვიდა, ისინი უფრო ლაღად ათამაშდნენ და გატეხილ მეტოქეს შედავების საშუალება აღარ მისცეს.

ჯამში — 19:0-ით მოგებულმა მეორე ნახევარმა ინგლისს ისევ დაუნარჩუნა მთავარფავორიტთაგანის სტატუსი. ქურციკთა ნაადრევად ჩამომწერებმა კი მათ მიერ მატჩის პირველ ტაიმში ნაჩვენები თამაში უნდა მოიგონონ — 8 ნოემბერს მელბურნში მათთან შეტოქებულ ახალზელანდიელებს, კეთილი ძველი ტრადიციისამებრ, ნახევარფინალში გასაღწევად კვლავაც დიდი ომის გადახდა მოუწევთ.


REUTERS

ინგლისელი ბენ კეი ორმა აფრიკელმა ძლივს გააკავა

| C ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სამოა | 2 | 0 | 0 | +84 | 10 |
| ინგლისი | 2 | 0 | 0 | +97 | 9 |
| ს. აფრიკა | 1 | 0 | 1 | +47 | 5 |
| ურუგვაი | 0 | 0 | 2 | -113 | 0 |
| საქართველო | 0 | 0 | 2 | -115 | 0 |

*7 ან ნაკლები ქულით წაგებისას ეძლევა 1 პრემიალური ქულა; 4 ლელოს გატანის 1 პრემიალური ქულა*

# ტონგას პრემიალური ტანგო

## ერთხელ ნამიბიამაც გაიარა მეტოქე

**საქართველოსთან** დამყარებულმა ინგლისის მსოფლიოს თასის რეკორდმა — 78 ქულიანმა გამარჯვებამ ერთი კვირა გაძლო. მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონებმა და თასის მასპინძელმა ავსტრალიელებმა ჩვენი ძველი „მოსისხლე" ნაცნობი რუმინეთი 90:8 დასცეს და რეკორდიც მიითვისეს.

რუმინეთმა უკვე მე-18 წუთზე გაუშვა ლელო, მერე კიდევ 12 მიილო და ესეც ახალი რეკორდია. თუმც ვლახები მაინც არ ჩაიკეტნენ დაცვაში, მსოფლიოს ყველაზე ტიტულოვან გუნდს კონტრშეტევაც აკადრეს და თქვენ წარმოიდგინეთ, ლელოც გაუტანეს. კარპატელების ზორბა პირველხაზელმა პეტრისონ ტოდერაშკმა „ვოლაბებში" გაიშლიგინა. შესვენებამდე დარჩენილ დროშიც რუმინეთი მტკიცედ იდგა, კიდევ სამი ქულა მოიპოვა და ტაიმი 8:38 წააგო, მაგრამ მეორე ნახევარში 0:52 გაცამტვერდა და აგერ მეორე მატჩში უიმედოდ გაქელილს ნუგეშად A ჯგუფის აუტსაიდერ ნამიბიასთან კვირანახევარში გასამართი მატჩი დარჩა. ნამიბია კი ამ უქმეებზე ყინჩ ირლანდიას შემოემარცხა. თუმცა მთლად ცარიელზე არც აფრიკელები დარჩნენ. პრესტიჟის ლელო გაუტანეს მწვანე „სამყურებს".

B ჯგუფში ფავორიტმა საფრანგეთმა მოუხელთებელი იაპონია მოიხელთა და პრემიალური ქულითაც დაამარცხა. იაპონიას კი თუმც არც ამ ჯერზე შეხვდა საცხრილო ქულა, მაგრამ მაინც მოსწყვიტა სიმპათია მაყურებელს. „ალუბლის ყვავილებმა" „მამლებს" ორი ლელო მითავაზეს და მაგრადაც გააწვალეს, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, როცა, ერთი ხანობა 19:20 წამოეწივნენ მათ. იაპონიას კიდევ წინა აქვს კარგი თამაშები და შესაძლოა გამარჯვებებიც, რაკი პირველ ორ თამაშში ორ ფავორიტთან ჯამში მხოლოდ 43 ქულით დაიხია, ვერც ქერქეტა ფიჯი და მით უმეტეს ვერც მძიმე ამერიკა იოლად ვერ მოდრეკენ მსოფლიოს თასის ყველაზე მსუბუქ მონაწილეს.

მით უმეტეს, არც აშშ-ია ხელწამოსაკრავი გუნდი და ვერც რაგბიში გამოჯეგილმა სქოთებმა წამოუთაქეს „იანკებს". ჯგუფის მეორე ფავორიტ შოტლანდიასთან 15:39 საპატიო მარცხია.

თუ ინგლისისა და სამხრეთ აფრიკის ჯახს არ ჩავთვლით, ამ უქმეების სხვა შეხვედრებიდან ყველაზე დაძაბული D ჯგუფისა გამოდგა, რომელშიც უელსმა მატჩის ბოლომდე ვერ მოიშორა აბეზარი ტონგა. უელსელები თუმც მატჩის მსვლელობაში ერთხელაც არ ჩამორჩნენ მომცრო მეტოქეს, მაგრამ ვერც ისე გაექცნენ, თავი უსაფრთხოდ ეგრძნოთ. ტონგას სათადარიგო დამრტყმელმა პერი ჰოლამ მატჩის საწყის წუთებში ჯარიმაც შეუგდო ბრიტანელ „დრაკონებს" და ცოტა მოგვიანებით ლელოც გამოაცხო თავისი გარდასახვიანად, რის შემდეგაც ტონგა 10:11 წამოეწია მეტოქეს. საბოლოოდ ტონგამ ლელოებში 3:2 აჯობა უელსს და შვიდი ქულით წაგებისთვის ერთი პრემიალური ქულაც ჩაიწერა აქტივში.


REUTERS

ავსტრალიელთა 13 ლელოდან ერთ-ერთი ჯორჯ სმიტისაა

18 ოქტომბერი. ბრისბენი

**ავსტრალია 90:8 რუმინეთი**

**ავსტრალია:** როჯერსი, სეილორი, ბერკი (მორტლოკი), ფლეტლი, როფი, ლარკემი, გრეგანი (კაპ) (გითიუ); ლაიონსი (კოკბეინი), ვუ (ტუკირი), სმიტი, შარპი, ვიკერმანი (ჰარისონი), ბაქსტერი (დარვინი), კენონი (პოლი), იანგი
13ლ: ფლეტლი, როჯერსი (3), ბერკი (2), ლარკემი (2), მორტლოკი, როფი, გითიუ, ტუკირი, სმიტი; 11გ: ფლეტლი; 1ს: ფლეტლი
**რუმინეთი:** დუმბრავა, ბრეზოიანუ (თეოდორესკუ), მაფტეი, გონტინიაკი (კაპ), სუანი (თეოდორესკუ), ტოფანი (ვიორეანუ), სირბუ (პოდეა); ჩირიაკი, ტონიცა (ბ. ტუდორი), მიკულაი (მ. ტუდორი), პეტრი, სოკოლი, ფლორეა (სოკასიუ), მავროდინი (პოპესკუ), ტოდერაშკი
1ლ: ტოდერაშკი; 1ს: ტოფანი

19 ოქტომბერი. სიდნეი (ოზი)

**ირლანდია 64:7 ნამიბია**

**ირლანდია:** დემფსი (კელი), ჰორგანი, ოდრისკოლი, მაგსი, ჰიკი, ოგარა, სტრინგერი (გ. ისტერბი); მილერი, ქუინლანი, ს. ისტერბი, ოკონელი, ოკელი, ჰეიესი (ვესტი), ვუდი (კაპ) (ბირნი), ჰორანი
9ლ: ქუინლანი (2), დემფსი, ჰიკი, ჰორანი, მილერი (2), გ. ისტერბი, ჰორგანი; 6გ: ოგარა
**ნამიბია:** პედრო, მუტონი, გრობლერი, პაუელი (აფრიკა), დრეიერი, უესელსი (შრიოდერი); ფორტერი (კაპ) (ფან ლილი), დუვენეიჯი (ლინტველტი), ფან დერ მერვე, გრეჰემი, სენაკალი, დიუ ტუა (ბლააუ), მეიერი (ფან ტონდერი), ლენსინგი
1ლ: პაუელი; 1გ: უესელსი

| A ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 2 | 0 | 0 | +85 | 10 |
| ავსტრალია | 2 | 0 | 0 | +98 | 9 |
| არგენტინა | 1 | 0 | 1 | +37 | 5 |
| რუმინეთი | 0 | 0 | 2 | -110 | 0 |
| ნამიბია | 0 | 0 | 2 | -110 | 0 |

18 ოქტომბერი. თაუნსვილი

**საფრანგეთი 51:29 იაპონია**

**საფრანგეთი:** პოიტრენო, რუჟერი, მარში, ტრაილე, დომინისი, მიშალაკი (მერსერონი), გალტიე (კაპ); ლაბიტი, მანი, ბესენი (შაბალი), ბრუზე, პელუ (არადუ), პუ (კრენკა), ბრუ (იბანიესი), მილუ
6ლ: მიშალაკი, რუჟერი (2), პელუ, დომინისი, კრენკა; 6გ: მიშალაკი (5), მერსერონი; 3ს: მიშალაკი
**იაპონია:** კურიჰარა, ოჰატა, კონია, ნამბა, ონოზავა, მილერი, სონდა; იტო, მიუჩი (კაპ); ოკუბო (ასანო), პაკერი, ტანუმა (კუბო), იამამურა, საკატა, ჰასეგავა
2ლ: კონია, ოჰატა; 2გ: კურიჰარა; 5ს: კურიჰარა

20 ოქტომბერი. ბრისბენი

**შოტლანდია 39:15 აშშ**

**შოტლანდია:** მეტკალფი, დანიელი, კრეიგი (ჰინშელვუდი), ჰენდერსონი, პატერსონი, თაუნსენდი (ბოგანი), ბლეირი (რეიდფათი); ტეილორი, პეტრი (ლესლი), ბათი (უაიტი), გრიმსი, ჰინსი, კერი, ბალოკი, სმიტი (დუგლასი)
5ლ: დანიელი (2), კერი, თაუნსენდი, პატერსონი; 4გ: პატერსონი; 2ს: პატერსონი
**აშშ:** ემერიკი, ფი, ელოფი, კროსი (კეიტერი), ვან ცული (უილფლი), ჰერკუსი, დალზელი (კიარი); ლილი, ჰოჯისი (კაპ), ფიფიტა, შუბერტი, პარკერი (გოუსი), დორსი (ლიდინგტონი), ხასიგიანი, მაკდონალდი
5ს: ჰერკუსი

| B ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 2 | 0 | 0 | +65 | 10 |
| შოტლანდია | 2 | 2 | 0 | +45 | 10 |
| ფიჯი | 1 | 0 | 1 | -42 | 4 |
| აშშ | 0 | 0 | 2 | -25 | 1 |
| იაპონია | 0 | 0 | 2 | -43 | 0 |

19 ოქტომბერი. კანბერა

**უელსი 27:20 ტონგა**

**უელსი:** რ. უილიამსი, მ. ჯონსი, ტეილორი, ჰარისი, შენკლინი, ს. ჯონსი, კუპერი (პილი); პოპჰემი (მ. უილიამსი), შარვისი (კაპ), დ. ჯონსი, სიდოლი, ლეულინი (ვაიტი), ჯენკინსი, დევისი (ბენეტი), ტომასი (ა. ჯონსი)
2ლ: კუპერი, მ. უილიამსი; 1გ: ს. ჯონსი; 4ს: ს. ჯონსი, 1ა: მ. უილიამსი
**ტონგა:** ვაენუკუ, ფონუა, ჰუფანგა, პაინე, ტუიფუა, ჰოლა, მერთენსი; კივალუ (კაპ), აფეაკი (ნგაუამო), ფენუკატაუ (ნაუფაჰუ), ვაკი, ლატუ, ლავაკა, ნაასი (ტაუკაფა), პულუ (ლაეაეტოა)
3ლ: ჰოლა, კივალუ, ლავაკა; 1გ: ჰოლა; 1ს: ჰოლა

| D ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ახ. ზელანდია | 2 | 0 | 0 | +125 | 10 |
| უელსი | 2 | 0 | 0 | +38 | 9 |
| იტალია | 1 | 0 | 1 | -39 | 4 |
| ტონგა | 0 | 0 | 2 | -31 | 1 |
| კანადა | 0 | 0 | 2 | -93 | 0 |

*სულთმობრძავ ქართულ ხელბურთს გასულ უქმეებზე მორიგი მოსალოდნელი თავსლაფი დაესხა. ნუთუ აღარ უნდა მოეღოს ბოლო ჩვენი გუნდების ყოველწლიურ, ლამის ნახევარი ევროპის ტერიტორიაზე ავტობუსით (უკეთეს შემთხვევაში მატარებლით) ოთხ-ხუთდღიან ვალისმოსახდელ ხეტიალს, რათა შემდეგ ბიჭები მეტოქეთა მოედანზე შესაწირი ვაცებივით გავიდნენ 15-20, ზოგჯერ კი მეტი ბურთით წასაგებად?*

# ბევრი იარა თუ ცოტა...

## ქართულ ხელბურთს ხელბორკილს უმზადებენ

არადა, მუდმივად ჯიბეგაფხეკილები, ცრუამბიციურობის თუ სხვა მიზეზით, ყოველი სეზონის წინ ჯიუტად ვაგზავნით ევროპის ხელბურთის ფედერაციაში (EHF) საკლუბო-სათასო ტურნირებში მონაწილეობისთვის განაცხადს, არიქა, კენჭისყრაში ჩაგვრთეთო. მერე კი, ასევე ტრადიციულად, მოწინააღმდეგესთან ვმათხოვრობთ, სამასპინძლო ფული არ გვაქვს და იქნებ ორივეჯერ თქვენსას ვითამაშოთო. შედეგიც ბუნებრივია — „მტრების" მოთამაშე-ქომაგთა აგდებული, დამცინავი გადმოხედვა და მერამდენე თავმოჭრა.

ბელარუსის დედაქალაქში ბრესტის „მეშკოვომ" EHF-ის თასზე ჩვენს უცვლელ ჩემპიონს — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „შევარდენს" გადაუარა — 32:14 და 29:17. მაკედონიაში კი იქაურმა „ტუტუნსკი კომბინატმა" საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მამული" დაგვიჩაგრა — 31:22, 38:24.

ამასობაში 26 ოქტომბერიც კარს მოგვადგა. ეს ის დღეა, როცა ქართული ხელბურთი ოფიციალურად დასამარდება, თუ ვალს ვერ გავისტუმრებთ. შეგახსენებთ ვითარებას: ივნისში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებმა გამგზავრება ვერ შეძლო. EHF-საც მეტი რა უნდოდა, ჩვენი მუდმივი „წავალ-ვერ წავალ" ყელში ამოუვიდა და ნაკრებების დონეზე ერთსეზონიანი დისკვალიფიკაციით და 15-ათასევროიანი ჯარიმით დაგვსაჯა. ვადა იწურება, ვალი კი ისევ გადაუხდელია. საქართველოს ხელბურთის ასოციაციამ კვირამდე თუ ვერაფერი იღონა, უფრო მკაცრი სანქცია გველის — მსოფლიო და ევროსარბიელიდან ნაკრებების და კლუბების ორსამ წლიანი მოკვეთა...

**გია ახალაძე**





# რა დიდი გახდა პატარა ჟუსტინი



REUTERS ციურიხიდან

ჟუსტინ ენენ-არდენი



REUTERS მადრიდიდან

ხუან კარლოს ფერერო

### მადრიდის მასტერსტურნირი

ჭერქვეშა მაგარსაფარი

საპრიზო 2,45 მილიონი ევრო

**მეოთხედფინალი**

**ხუან კარლოს ფერერო (1, ესპანეთი) — პარადორნ შრიჩაფანი (7, ტაილანდი) 6:4, 6:2; როჯერ ფედერერი (3, შვეიცარია) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 4:6, 7:6 (7:3), 6:4; იუნეს ელ აინაუი (15, მაროკო) — სებასტიან გროჟანი (6, საფრანგეთი) 3:6, 7:6 (8:6), 6:2; ნიკოლას მასუ (ჩილე) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:7 (5:7), 6:4, 6:4**

**ნახევარფინალი**

**ფერერო — ფედერერი 6:4, 4:6, 6:4; მასუ — ელ აინაუი 7:5, 6:4**

**ფინალი**

**ფერერო — მასუ 6:3, 6:4, 6:3**

ამქრის 23 წლის პირველოსანმა ხუან კარლოს ფერერომ კარიერის მეოთხე, ხოლო სეზონის მეორე მასტერსტიტულის მოსაგებად მშობლიურ ჭერქვეშა მაგარსაფარზე მიჯრით სძლია უეინ ფერეირას, ფელიქს მანტიას, პარადორნ შრიჩაფანს, როჯერ ფედერერსა და ნიკოლას მასუს. მასუმ, ვინაც ტურნირის უდიდესი სენსაცია მესამე წრიდან ენდი როდიკის გაბუნძულებით გაახერხა, ფინალში ფეროეროს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია და სეტისმოუგებლად დაუთმო.

ეს ფერეროს მე-11 საკარიერო და მე-4 საამსეზონო ტიტული გახლავთ. წლეულს მან კიდევ ვალენსიაში, მონტეკარლოურ მასტერსსა და საფრანგეთის ღია პირველობაზეც იმარჯვა. სათქმელია ისიც, რომ მას აქამდე არასოდეს მოეგო ჭერქვეშ. და კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამ გამარჯვებამ კოლობიჭი ჩემპიონთა რბოლის ლიდერიც გახადა — ის უკვე 4 ქულას უგებს მანამდელ ლიდერ როდიკს. ამგვარად — ამ მომენტისთვის ფერერო ორივე რეიტინგსიის უსტაბაშია.

### SWISSCOM CHALLENGE

ციურიხი. მაგარსაფარი

საპრიზო 1,3 მილიონი $

**ნახევარფინალი**

**ელენა დოკიჩი (იუგოსლავია) — კიმ კლაისტერსი (1, ბელგია) 1:6, 6:3, 6:4; ჟუსტინ ენენ-არდენი (2, ბელგია) — ნადია პეტროვა (რუსეთი) 6:4, 6:4**

**ფინალი**

**ენენ-არდენი — დოკიჩი 6:0, 6:4**

ბევრი სდია თუ ცოტა, ჭინკა ჟუსტინ ენენ-არდენმა მაინც შეძლო თვისტომ კიმ კლაისტერსისთვის ქალთა ამქრის პირველოსნობა ჩამოერთმია. ეს ამბავი ციურიხში მოხდა, სადაც ფლამანდურენოვანმა კიმმა ნახევარფინალში მოულოდნელად ჩაიფლავა ელენა დოკიჩთან, ფრანგულენოვანმა ჟუსტინმა კი ფინალსაც უპრობლემოდ უწია და იქ დოკიჩსაც უპრობლემოდ გადაურბინა.

რეიტინგსიის სათავეში კიმი უკვე მომდევნო ორშაბათსვე დაბრუნდება — ჟუსტინმა საამკვირაოდ ავსტრიულ GENERALI OPEN-ზე გამოსვლა გადაღლილობის გამო იუარა, ხოლო რაკილა ის ამ ტურნირის შარშანდელი გამარჯვებულია, გამოუსვლელობის გამო იმდენ ქულას მოისაკლისებს, რომ კვლავ კიმზე ნაკლები დაუგროვდება.

მაგრამ, ჯერ ერთი და, პირველოსნობა ერთი კვირით არის თუ ერთი დღით, მაინც გამოსარჩევი რამ გახლავთ, მეორეცაა და, ჟუსტინი კენწეროში ასვლას ისევ რომ მოახერხებს, ამაში ეჭვი არავის ეპარება.

ეს იყო მისი მე-14 საკარიერო და მე-8 საამსეზონო ტიტული. წლეულს რვა ტიტული და ზედაც 3 277 264 დოლარი კი კაცმეჩოგნეებიდანაც ვერავის მოუხვეჭია.

რაც შეეხება პირველოსნობას, 1975 წლიდან, ანუ კომპიუტერული რეიტინგსიების შემოღებიდან დღემდე ამგვარი დიდებისთვის მხოლოდ 12 ქალს (კრის ევერტი, მარტინა ნავრატილოვა, ტრეისი ოსტინი, შტეფი გრაფი, მონიკა სელეში, არანჩა სანჩეს-ვიკარიო, მარტინა ჰინგისი, ლინდსი დევენპორტი, ჯენიფერ კაპრიატი, ვინუს უილიამსი, სერენა უილიამსი, კიმ კლაისტერსი) მიეღწია და ჟუსტინი — შესაბამისად — მე-თარს-ცამეტე იქნება.

**ლევან ძელაურაძე**



## რეგულარული ჩემპიონატი

17 ოქტომბერი

**დალასი 4:2 ვაშინგტონი**
*2:1 2:1 0:0*

**ანაჰაიმი 0:3 ოტავა**
*0:1 0:0 0:2*

18 ოქტომბერი

**მონრეალი 0:1 ტორონტო**
*0:1 0:0 0:0*

**აილენდერსი 2:1 ფლორიდა**
*0:0 1:1 1:0*

**ატლანტა 7:2 ჩიკაგო**
*3:1 2:1 2:0*

**რეინჯერსი 2:2 კაროლინა**
*1:1 1:1 0:0 0:0*

**ნიუჯერსი 2:3 ტამპა**
*0:1 2:1 01*

**პიტსბურგი 4:3 დეტროიტი**
*1:2 1:1 2:0*

**სენტ ლუისი 4:1 ვაშინგტონი**
*2:0 2:1 0:0*

**ნეშვილი 3:2 კოლუმბუსი**
*0:0 3:1 0:1*

**მინესოტა 2:2 ვანკუვერი**
*0:1 2:0 0:1 0:0*

**კალგარი 0:2 ბუფალო**
*0:1 0:1 0:0*

**ფინიქსი 4:5 ფილადელფია**
*2:3 0:1 2:1*

**ედმონტონი 6:3 კოლორადო**
*1:1 2:1 3:1*

**ლოს ანჯელესი 3:4 ბოსტონი**
*3:0 0:1 0:3*

**სან ხოსე 1:4 ოტავა**
*0:1 0:2 1:1*

19 ოქტომბერი

**ჩიკაგო 3:1 ნეშვილი**
*0:0 1:1 2:0*

**დალასი 3:1 მინესოტა**
*0:1 3:0 0:0*

**ანაჰაიმი 3:4 ბოსტონი**
*0:0 3:2 0:1 0:1*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge